დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის №6 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრები:

ლანა ყურაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
რუსუდანი არზიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
ნინო კილაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
თაია მამარდაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
სოფიო გელაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
ხათუნა მარკოზაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
ნანა შალამბერიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
ნონა გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის №6 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	246994025

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ქობულეთი
იურიდიული მისამართი	ქალაქი ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა მე-2 შესახვევი N5
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა მე-2 შესახვევი N5
საფოსტო ინდექსი	6200
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები (emis.ge)
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Kobuleti6@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577304185

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	27/06/2023 წ. MES 6 23 0000769987
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	08.09 აგვისტო, 2023 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული	ქალაქი ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა მე-2 შესახვევი N5
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული	ქალაქი ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა მე-2 შესახვევი N5
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული	ქალაქი ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა მე-2 შესახვევი N5

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებით განსაზღვრულმა ექსპერტთა ჯგუფმა, ვიზიტის დაწყებამდე შეისწავლა სკოლის თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია. დისტანციურად, Teams-ის პლათფორმის მეშვეობით, გამართა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრები, განიხილა ვიზიტის საორგანიზაციო საკითხები, შეიმუშავა დღის წესრიგი და წარმოების ფარგლებში დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გაეგზავნა წინასწარ.
სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის № 6 საჯარო სკოლაში განხორციელებული ჰიბრიდული ვიზიტის ფარგლებში ადგილზე, სკოლაში, იმყოფებოდა ექსპერტთა ჯგუფის 3 წევრი. თავმჯდომარე, ექსპერტი ხარისხის მიმართულებით და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი. სხვა საგნების საგნობრივი ექსპერტები დისტანციურ რეჟიმში ერთვებოდნენ პროცესში. ვიზიტი წარიმართა წინასწარ გათვალისწინებული დღის რეჟიმის შესაბამისად, მშვიდ და საქმიან გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში შეამოწმა სკოლის მიერ შემუშავებული სკოლის ფილოსოფია (შემუშავების, გაზიარების, გასაჯაროების და მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები), განსახორციელებელი ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერისა და მოსწავლეთა მხარდაჭერის მიმართულებით სკოლის მიერ დაგეგმილი საქმიანობა. დაათვალიერა კურიკულუმთან მიმართებაში დაწესებულების სასწავლო გარემო, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები, შეამოწმა სკოლის ბიბლიოთეკა და ლაბორატორიები. გაესაუბრა სკოლის წარმომადგენლებს: ადმინისტრაციას, მასწავლებლებს (კათედრების მიხედვით). ზემოთაღნიშნულის საფუძველზე მომზადდა შესაბამისი დასკვნა.
ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად დანახული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 400	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამები.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცი*
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში: ა) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეათანხმოს შესაბამის უწყებასთან (მიმდინარე წლის აგვისტო-დეკემბერი);

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

		ბ) მოიპოვოს დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ (მიმდინარე წლის 22 დეკემბრამდე); დ) აღჭურვოს სამედიცინო კაბინეტი (2023 წლის აგვისტო - 2024 წლის მაისი); ე) ექიმის/ექთნის პოზიციაზე მოიძიოს და დაასაქმოს შესაბამისი კადრი (2024 წლის მაისი-აგვისტო).
ინდიკატორი N3.5.1.3	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2023 წლის აგვისტო-2024 წლის აგვისტო) სკოლის შენობის სრულად ადაპტირება შშმ პირებისათვის.
ინდიკატორი N3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია	სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2023 წლის აგვისტო-ნოემბერი) სკოლის ვებგვერდზე სკოლის შესახებ ინფორმაციის (მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია) ასახვა.

სტანდარტი 4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაც*
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	*სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაც*
ინდიკატორი		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.1	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	გადახედოს ხედვის ფორმულირებას და ჩამოაყალიბოს ისე, როგორც სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით აქვს განსაზღვრული. ხედვაში გამოკვეთოს, თუ რას დაინახავს სასკოლო საზოგადოება, თუკი დაწესებულება სრულად მოახდენს საკუთარი ამბიციების რეალიზებას. ამასთან ხედვა განსაზღვროს როგორც მისიის ნაბიჯ-ნაბიჯ რეალიზების გზა
სტანდარტი 3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	შექმნას ერთიანი დოკუმენტი სადაც განსაზღვრავს სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებს
ინდიკატორი	სკოლას აქვს საჭიროებებზე	საჭიროებებზე დაფუძნებული

N3.1.2.2	დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა	პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში არსებული რისკების მართვა, დეტალურად გაიწეროს სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში.
ინდიკატორი N3.2.1.5	წახალისებულია პერსონალ[illegible] განვითარებასთან დაკავშირებულ[illegible] ინიციატივები.	მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინიციატივების წახალისების მექანიზმში დააკონკრეტოს ინიციატივის განხლვის ვადები, წარდგენის ფორმა.
ინდიკატორი N3.3.1.2	. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები	შეიმუშაოს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესების ჩამონათვალის და მათი აღმწერების ერთიანი დოკუმენტი
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	აიყვანოს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
ინდიკატორი N3.4.1.4	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას	• შეიმუშაოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანზმები; • მოახდინოს სანიტარული კვანძების დასუფთავებისათვის გამოყენებული/განკუთვნილი ინვენტარის მარკირება.

ინდიკატორი N3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	მოაწყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, კომპიუტერული კლასი და შეცვალოს რესურსოთახის მდებარეობა
სტანდარტი 4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N4.1.2.1	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;	მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის და სტატუსის შეჩერების გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები გაწეროს ერთიან დოკუმენტად, დააკონკრეტოს სკოლის მიერ განსახორციელებელი ქმედებები (კანონმდებლობის შესაბამისი) და ხელმისაწვდომი გახადოს სასკოლო საზოგადოებისათვის. განათვსოს ვეებგვერდზე
ინდიკატორი N4.1.2.3	**სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**	**სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები, პირობები, პროგრამები, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურები (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია განათავსოს ვებგვერდზე.**
ინდიკატორი	სკოლა მომსახურების ხარისხის	კარიერული დაგეგმვისა და

N4.2.2.3.	გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.	პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს და გაწეროს დაგეგმილი მომსახურების შეფასების მექანიზმები, რომელთა საფუძველზეც შეაფასებს საქმიანობას და შეფასების შედეგებს გამოიყენებს მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურ** **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)	*სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაში* *•ყველა თემატურ ბლოკში მუშავდებოდეს საფეხურზე სტანდარტით განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნება .* *•დაწყებით საფეხურზე თემატური ბლოკები სტანდარტით განსაზღვრულია - ხელოვნება ჩემ გარშემო, ადამიანები და ხელოვნება, მე და გარესამყარო. სასურველია გრძელვადიანი სამიზნე ცნებები მუშავდებოდეს თემატური ბლოკის ფარგლებში და ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე აისახოს კურიკულუმებში* *მუსიკაში:* *•დაწყებით საფეხურზე*

		განსაზღვრულია თემები და სამიზნე ცნება/ქვეცნებები, სასურველია ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე კურიკულუმით განისაზღვროს კომპლექსური დავალებები და აისახოს კურიკულუმებში კომპიუტერული ტექნოლოგიებში: *•ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე კურიკულუმში აისახოს საფეხურის ფარგლებში განსაზღვრული თემები და სამიზნე ცნებები საგნის სტანდარტის შესაბამისად და მოხდეს მათი ასახვა კომპლექსურ დავალებებში;* *•საფეხურის ფარგლებში დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით დაიფაროს არა მხოლოდ სამივე მიმართულება და ყველა სამიზნე ცნება, არამედ ყველა საკითხი თემატური ჩარჩოდან;* *•თითოეულ კლასში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით დაიფაროს სამივე მიმართულება; ერთი კომპლექსური დავალებით შესაძლებელია ორი სამიზნე ცნებისა და საკითხთა კლასტერის დაფარვა;* *•თითოეულ კლასში წარმოდგენილი ორი კომპლექსური დავალება არ მიემართებოდეს ერთსა და იმავე*

		საკითხს; *•კომპლექსური დავალებების დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნას მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებანი.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დაწესებულება სრულად დაეთანხმა დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებს (წერილიMES 4 23 0001066948. 02.09.2023 წ. და წერილი MES 6 23 0001100158, 07.09.2023 წ.) და წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა დანართებით: დანათი1. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი (სტრატგიული და ერთწლიანი გეგმებისა და სკოლის სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე, სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმები, მეთოდოლოგია), დანართი 2. ცნობები (ნასამართლობა სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულისთვის), დანართი 3. ექიმის კაბინეტის ინვენტარის შესახებ (წერილი MES 5 23 0001042620 მიწერილი კაბინეტის აღჭურვის თაობაზე), დანართი 4.საგანგებო მართვის გეგმა (შესათანხმებლად მომზადებული გეგმა), დანართი 5. სამხარაულის დასკვნის შესახებ (წერილიMES 2 23 0000745006, მიწერილი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსადმი, შენობის ტექნიკური მდგომარეობის და მისი ექსპლუატაციის უსაფრთხოების განსაზღვრის თაობაზე), დანართი 6. შშმ პირებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნის შესახებ (წერილიMES 4 23 0001044096, აჭარის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შესაბამისი ადაპტირებული გარემოს მოწყობის თაობაზე).

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო წარმოდგენილ მასალას და გააანალიზა, მიიჩნია რეალისტურად და სრულად გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მიერ დეკლარირებული მისია და ხედვა შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების პრინციპებთან,რომ სკოლაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოსწავლემ უნდა შეძლოს ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა, იყოს კანონმორჩილი და ტოლერანტი, ზოგადსაკაცობრიო ლიბერალური და დემოკრატიულ ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

სკოლას მიეცა რჩევა გადახედოს ხედვის ფორმულირებას და ჩამოაყალიბოს ისე, როგორც სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით აქვს განსაზღვრული. ხედვაში გამოკვეთოს, თუ რას დაინახავს სასკოლო საზოგადოება, თუკი დაწესებულება სრულად მოახდენს საკუთარი ამბიციების რეალიზებას. ამასთან ხედვა განსაზღვროს როგორც მისიის ნაბიჯ-ნაბიჯ რეალიზების გზა

2.სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

სკოლა აცნობიერებს, რომ იქ მიმდინარე პროცესები შეუძლებელია საზოგადოებრივი და თემის პრობლემებისგან ცალკე იდგეს და არ ემსახურებოდეს მათ გადაჭრას. მას მისიაში დეკლარირებული აქვს, რომ ორიენტირებულია უსაფრთხო, დემოკრატიული საგანმანათელებლო გარემოს შექმნასა და ზოგადსაკაცობრიო იდეების მატარებელი, ცხოვრებისათვის მომზადებული, ცოდნით და გამოცდილებით აღჭურვილი პიროვნების აღზრდაზე. გარდა უსაფრთხო გარემოსი, სკოლა სოციო - კულტურულ სივრცედაც გვევლინება და სასკოლო თემის წევრებისთვის გეგმავს პოტენციური შესაძლებლობების განვითარების საშუალებებს, კერძოდ სკოლა გეგმავს პროექტების განხორციელებას და პროექტებში სასკოლო საზოგადოების აქტიურად ჩართვას, მოსწავლეთა და სკოლის პერსონალის მხარდაჭერას პროფესიული განვითარების და შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით
სკოლის დირექტორის მიერ 2023 წლის 22 მაისის N01-03/25 ბრძანებით განსაზღვრული მექანიზმის - "სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების, გაზიარების გასაჯაროების გადახედვა/რევიზიის მექანიზმის" შესაბამისად დაწესებულებამ განახორციელა არსებული მისიისა და ხედვის რევიზია. რევიზიის პროცესში ჩართო მთლიანად სასკოლო საზოგადოება - მშობელი,მოწავლე, სკოლის პერსონალი, რაც **უზრუნველყოფს ინდიკატორთან შესაბამისობას.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**სკოლამ, სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების, გაზიარების, გასაჯაროვების, გადახედვა/რევიზიის მექანიზმების გათვალისწინებით სკოლის ფილოსოფია გაზიარა სასკოლო საზოგადოებაში. მასწავლებლების მიერ სკოლის ფილოსოფის გაზიარების შემდეგ მისი გაზიარება განხორციელდა მშობელთა კრებებზე კლასის დამრიგებლების მიერ.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი
სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლის ფოიეში და საჯაროდ ხელმისაწვდომია
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6.სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს
სკოლის სახელწოდება "სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის №6 საჯარო სკოლა სრულად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ტერმინს (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი (2023-2024 წწ);
- სსიპ ბადრი ბერანძის სახელობის ქობულეთის #6 საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა 2023-2030 წწ;
- კლასის კრებების ოქმები;
- დამრიგებელთა პორთფოლიოები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

   სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 22 ივნისის N01-03/29 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N6 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“. მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ეფუძნება გუნდურ მუშაობას, თანამონაწილეობას, გამჭვირვალობას, მიზანშეწონილობას და სოციალურ პასუხიმგებლობას. განსაზღვრულია სტრატეგიულ განვითარებაზე პასუხისმგებელი პირები, გაზიარებისა და გასაჯაროების მექანიზმები, აღწერილია სტრატეგიული განვითარების გეგმის სტრუქტურა, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ფაზები. გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

   სკოლამ წარმოადგინა 2023-2030 წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი, რომელიც ეფუძნება სკოლის SWOT ანალიზს, განსაზღვრულია 7 სტრატეგიული მიმართულება, ამოცანები და შესრულების ვადები. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს რომ შვიდწლიანი გეგმა იქნება ციკლური. ახალ შვიდწლიან გეგმაზე მუშაობის დაწყებას სკოლა გეგმავს მიმდინარე შვიდწლიანი გეგმის დასრულებამდე მინიმუმ 6 თვით ადრე. წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი თავსებადია სკოლის ფილოსოფიასთან.

   ვიზიტის პერიოდში **სკოლას არ ჰქონდა სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებული.**

   დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციის მტკიცებულებად წარმოადგინა 24.08.2023 წლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების თაობაზე და დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა. წარმოდგენილი ოქმით დასტურდება, რომ სკოლას აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

   სკოლამ წარმოადგინა სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის #6 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმაში გათვალისიწინებულია სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული ამოცანები, მათი შესაბამისი აქტივობები, შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები.

   მიმდინარე წარმოების ფარგლებში სამოქმედო გეგმის ყოველწლიურ თვითშეფასებაზე დაფუძნება ვერ შეფასდება

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.**

   დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში, გაწერილია სტრატეგიული ამოცანები, რომლის 2023-2030 წლების სტრატეგიული დაგეგმვის მიზნებთანაა თანხვედრაში. ამოცანები, ჩაშლილია აქტივობებად, წარმოდგენილია მათი განხორციელების ვადები და შემსრულებელი პირები.

   სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში არ იყო გათვალისწინებული შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, აქტივობის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა დამტკიცებული ერთწლიანი გეგმა, რომელში უკვე გათვალისწინებულია შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და აქტივობის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N6 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია";
- 2023-2030 წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი;
- 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა დანართით (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი).

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**
   სკოლის სტრატეგიული დაგეგმრების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია ტრატეგიული გეგმის გადახედვის ვადები. სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიაში არ იყო განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.
   არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის სტრატეგიული განვითარების დამტკიცებული მეთოდოლოგია, რომელშიც განსაზღვრულია სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

მიმდინარე წარმოების ფარგლებში ინდიკატორი არაა შეფასებადი

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**
მიმდინარე წარმოების ფარგლებში ინდიკატორი არაა შეფასებადი

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.დასტურდება (მტკიცებულებები)
მიმდინარე წარმოების ფარგლებში ინდიკატორი არაა შეფასებადი

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023 წლის 22 ივნისის 01-03/29 ბრძანება „სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის 6 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა დანართით (სამეურვეო საბჭოსს სხდომის ოქმი).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას წარმოდგენილი აქვს სქემატურად გამოსახული სკოლის სტრუქტურა, რომელიც შესაბამისობაშია სკოლის წესდებით განსაზღვრულ ორგანიზაციულ მოწყობასთან და აჩვენებს ურთიერთმიმართებას სტრუქტურული ერთეულებს/პირებს შორის.
სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები განსაზღვრულია შინაგანაწესით, ბიბლიოთეკის დებულებით, საქმისწარმოების ინსტრუქციით, სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N6 საჯარო სკოლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭრის ჯგუფის დებულებით, სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქობულეთის N6 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმით, სასკოლო სასწავლო გეგმით, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებით, პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებებით. პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს დისციპლინური კომიტეტის შემთხვევაში სკოლა ხელმძღანელობს საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ, ეროვნული სასწავლო გეგმით, სკოლის წესდებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი 06/ნ ბრძანებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

სკოლას მიეცა რჩევა შექმნას ერთიანი დოკუმენტი სადაც განსაზღვრავს სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებს

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ორგანიგრამის და ხელშკრულებაში გაწერილი ფუნქციების, საშტატო განრიგის გათვალისწინებით და მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების (პერსონალის შესახებ) მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილებულია, არ ხდება ფუნქცია - მოვალეობების დუბლირება. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები, მთლიანობაში, სრულად მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლს ძირითად საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს უკავშირდება.
სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტით დასტურდება საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელი ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილების საკითხი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება 01-03/33, 08.08.2023. „სსიპ ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N6 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულების“ დამტკიცების თაობაზე;
- ბრძანება N01-03/57, 14.09.2022წ. „ბიბლიოთეკის დებულება“;

- ბრძანება #01-03/47, 07.09.2022. „დამრიგებლების მუშაობის დებულება“;
- 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა;
- ხელშეკრულებები;
- სქემატურად გამოსახული სკოლის სტრუქტურა;
- საშტატო განრიგი;
- ბრძანება N01-03/34 2022 წლის 1 ივლისი,“საქმისწარმოების ინსტრუქცია“.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის შიდამარეგულირებელი აქტების: სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის (ბრძანება 01-03/32, 08.08.2023), სკოლის შინაგანაწესის, პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების, სასკოლო სასწავლო გეგმის (კათედრების ფუნქცია-მოვალეობები), დამრიგებლის მუშაობის დებულება, სკოლის წესდების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №174/ნ-ის (მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ) მოთხოვნების შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლას წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესი, წესდება და სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.

აღნიშნულ დოკუმენტებში გაწერილია პერსონალის შერჩევის პროცესების დაგეგმარების, ახალგაზრდა და კვალიფიციური კადრების მოზიდვასთან, სტაჟირებასთან, შეფასებასთან, პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. განსაზღვრულია სასწავლო პროცესის მონაწილე მხარეების უფლება-მოვალეობები, თანამშრომელთა მიღების წესი, მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლებები, შრომის დაცვისა და ანაზღაურების პირობები, სამუშაო დროის ხანგრძლივობა, თანამშრომელთა მიღებისა და გათავისუფლების წესები, წახალისების ფორმები.

ამათან, სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, იღებს საკუთარ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ ინტერვენციულ გადაწყვეტილებებს კონკრეტულ დისციპლინურ გადაცდომებთნ მიმართებაში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში სკოლა შეძლებს რისკების მართვას და ფუნქციების შესაბამის პერსონალზე დელეგირებას, მათ შორის მასწავლებლის ჩანაცვლებას საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებლით და გაკვეთილების გადანაცვლებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

სკოლას მიეცა რჩევა, რომ საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში არსებული რისკების მართვა, დეტალურად გაწეროს სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლა მასწავლებლის შერჩევას, კადრების მოზიდვასა და დასაქმებას უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობის და სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად. პოლიტიკის დოკუმენტში მითითებულია, რომ სკოლის თანამშრომლების დაკომპლექტებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოზიდვისა და დაქირავების გამჭვირვალე, ობიექტური და მიუკერძოებელი პროცესის წარმართვას, აგრეთვე ნებისმიერი აპლიკანტისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას და საკუთარი თავის რეალიზებისთვის მაქსიმალურად ხელშემწყობი პირობების შექმნას. სკოლის პედაგოგების შერჩევის მიზნით ვაკანსიის გამოცხადება ხდება, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

დაწესებულებამ წარმოადგინა კანონმდებლობის შესაბამისად მასწავლებლის, სპეციალური მასწავლებლის დასაქმების პროცესის ამსახველი ვაკანსიის გამოცხადების და გასაუბრების კომისიის ფორმირების ბრძანებები, გასუბრების ოქმები, გადაწყვეტილებები, შერჩევის კრიტერიუმები. რაც შეხება ადმინისტრაციულ პერსონალს სკოლა შესაბამისი კადრის მოსაზიდად აკეთებს განაცხადს სკოლის სოციალურ ქსელში და დირექტორს აჰყავს გასაუბრებით.

ვიზიტის პროცესში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები. პირადი საქმეების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ სკოლის პერსონალს წარმოდგენილი ჰქონდა ცნობა ნასამართლობის შესახებ, მაგრამ **არ ჰქონდათ** წარმოდგენილი საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ (მუხლი 33 [1] -ით პერსონალისათვის დადგენილი შეზღუდვა) განსაზღვრული ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის №463

დადგენილებით განსაზღვრული ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ“. (იმ პერსონალის შემთხვევაში, რომელიც მიღებულია სკოლაში 2020 წლის ივნისის შემდგომ პერიოდში)

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის №463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ“. (იმ პერსონალის შემთხვევაში, რომელიც მიღებულია სკოლაში 2020 წლის ივნისის შემდგომ პერიოდში)

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას

სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა 27 მასწავლებელი, ამათგან - 3 წამყვანი და 24 უფროსი მასწავლებელი, 1 სპეციალური მასწავლებელი და 1 სპეციალური მასწავლებლის ასისტენტი, 1 მტუკი, 3 დამლაგებელი, 2 დარაჯი, 1 საქმისმწარმოებელი, 1 ბიბლიოთეკარი, 1 ბუღალტერი, 1 საინფორმაციო მენეჯერი, 1 ცეცხლფარეში (სეზონურად) , 1 დირექტორის მოადგილე.

დაწესებულება მასწავლების დასაქმებასთან დაკავშირებულ პროცესებს და მასწავლებლების კვალიფიკაციას არეგულირებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების მოთხოვნათა გათვალისწინებით. რაც შეეხება სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებს სკოლამ წარმოადგინა სსიპ ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის #6 საჯარო სკოლის თანამშრომელთა ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები (ბრძანება 01-03/34. 08.08.2023).

მასწავლებლებთან გაფორმებულია სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულებები. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები შესაბამისობაშია საქართველოს ორგანულ კანონთან, საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა პირად საქმეში წარმოდგენილი პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასწავლებლის შერჩევის პროცედურა (კომისიის შექმნა გასაუბრება, გადაწყვეტილების მიღება), კათედრების, სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს და მრჩეველთა საბჭოს ოქმები, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების პროცედურა ამტკიცებს, რომ სკოლაში დამკვიდრებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპები

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლის შინაგანაწესიდან და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტიდან იკითხება, რომ სკოლა ახდენს მასწავლებელთა წარმატებული გამოცდილების აღიარებას და ითვალისწინებს წახალისების მექანიზმებს, როგორიცაა: მადლობის სიგელი, პრემირება. წარმატებული გამოცდილების გაზიარება ხორციელდება კათედრის სხდომებზე და პედაგოგიურ საბჭოზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის (ბრძანება 01-03/32, 08.08.2023),
- სსიპ ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის #6 საჯარო სკოლის თანამშრომელთა ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები (ბრძანება 01-03/34. 08.08.2023)
- სკოლაში მასწავლებლის დასაქმების პროცედურა ;
- დასაქმებულთა პირადი საქმეები;
- სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისა და ჯგუფების ოქმები;
- ბრძანებები გასაუბრების კომისიის შექმნაზე;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა დანართებით (დანართი 2. ცნობები)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია თანამშრომელთა საქმიანობის, მიღწევების და კონკრეტული პროფესიული კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასება. სკოლის თანამშრომელთა შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი პროცედურები: სკოლის პედაგოგების შეფასება, საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება, ადმინისტრაციული/ დამხმარე პერსონალის შეფასება, ასევე სკოლის პედაგოგების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების შეფასება. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის შეფასების საკითხი, მოთხოვნები, შეფასების კრიტერიუმები, რეაგირებების მექანიზმი. დოკუმენტს თან ერთვის გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმა და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების გამოკითხვის ფორმა.
გარდა ზემოაღნიშნულისა, სკოლაში მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებათა დადგენისათავის, გამოყენებული იქნება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის მიერ მასწავლებელზე დაკვირვების შედეგები.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლაში ვიზიტისას დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის ციფრული განვითარების გეგმა, რომლის თანახმადაც, სკოლის მენეჯმენტი სამუშაოს გასანაწილებლად და ჩატარებულ სამუშაოსთან დაკავშირებით სტატისტიკის საწარმოებლად გეგმავს სხვდასხვა პლატფორმების Microsoft To Do, Microsoft Planner, Google Tasks, გამოყნებას. აღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად სკოლამ შეისწავლა მასწავლებელთა ციფრული უნარები და გამოავლინა ციფრულ ტექნოლოგიებში მათი გადამზადების საჭიროება, რომელსაც განახორციელებს სასწავლო წლის განმავლობაში. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, სკოლა მასწავლებლების საჭიროებას გამოავლენს გაკვეთილებზე დასწრებით, ხოლო ადმინისტრაციის საჭირობას ადმინისტრაციის შეფასების კითხვარის დახმარებით და გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე შესთავაზებს პროფესიული განვითარების ტრენინგებსა და საკონსულტაციო შეხვედრებს, ხელს შეუწყობს საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტების ფარგლებში და სხვადასხვა სამთავრობო/ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სკოლასთან თანამშრომლობით დაგეგმილ ტრენინგებზე, სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობას, გამოყოფს ფინანსურ რესურსს ტრენინგებზე მონაწილეობის მიზნით.
ადამიანური რესურსის განვითარების საკითხი სკოლას გაწერილი აქვს სტრატეგიული განვითარების და შესაბამისად ერთწლიან გეგმაში.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის და მათ შორის მასწავლებელთა კარიერულ ზრდას. სკოლაში მოქმედი კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი და კათედრის შიგნით მასწავლებელთა თანამშორმლობა, პროფსიული დიალოგი ხელს უწყობს თითოეულ მათგანს პროფესიულ დაოსტატებაში და შესაბამისად სტატუსის მოპოვებაში/ამაღლებაში.
სკოლას სპეციალური წესით სტატუსის ამაღლებაზე წარდგენილი ჰყავდა პედაგოგი, რომელსაც მიენიჭა უფროსი მასწავლებლის სტატუსი.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია **ახალდანიშნული თანამშრომლის სოციალიზაციისა და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცესის აღმწერი მექანიზმი.** სკოლა იღებს ვალდებულებას ახალდანიშნულ თანამშრომელს გააცნოს სკოლის ფილოსოფია, შინაგანაწესის მოთხოვნები და სკოლაში მოქმედი პროცედურები და წესები. უშუალო ხელმძღვანელი (ადმინისტრაციის შემთხვევაში) და კათედრის ხელმძღვანელი (მასწავლებლის შემთხვევაში) ახალ თანამშრომელს აცნობს თანამდებობრივ ინსტრუქციას და განუმარტავს თუ რას გულისხმობს არსებული სამუშაო და რა მოთხოვნები იქნება წაყენებული მისადმი, როგორ და რა კრიტერიუმებით შეფასდება იგი მომავალში და უსახავს ყველა იმ საჭირო ორიენტირს, რომელიც აუცილებელია მისი საქმიანობის ხარისხიანად შესრულებისათვის. დოკუმენტში დაკონკრეტებულია, რომ საჭიროების შემთხვევაში, ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი და უშუალო ხელმძღვანელი, ერთობლივად ადგენენ კონკრეტულად რა მიმართულებით სჭირდება კადრს პროფესიული უნარების გაძლიერება და მხარს უჭერენ მას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლას შინაგანაწესით განსაზღვრული აქვს დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი, რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების სხვადასხვა ფორმები. სკოლა ასევე აცხადებს თანხმობას საჭიროების შემთხვევაში დააფინასოს მასწავლებლის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშრებული ინიციატივა-ტრენინგებში მონაწილეობა. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N6 საჯარო სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინიციატივების წახალისების მექანიზმი (ბრძანება N01-03/43, 08.08.2023 წელი), რომლის მიხედვითაც, სკოლა აცხადებს მზაობას მიიღოს და განიხილოს მასწავლებლების ყველა ინიციატივა, რომელიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას. ინიციატივის გამოვლინის შემთხვევაში სკოლა განიხილავს მის მიზანშეწონილობას სკოლის საჭიროებებთან და განვითარებასთან მიმართებით და ღებულობს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

სკოლასმიეცა რჩევა მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინიციატივების წახალისების მექანიზმში დააკონკრეტოს ინიციატივის განხლვის ვადები, წარდგენის ფორმა.

დასტურდება (მტკიცებულებები)

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. (ბრძანება 01-03/32, 08.08.2023);
- სტრატეგიული გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- შინაგანაწესი;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის ბრძანება, ოქმები;
- ციფრული განვითარების გეგმა;

- ბრძანება N01-03/43, 08.08.2023 წელი „სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N6 საჯარო სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინიციატივების წახალისების მექანიზმი“ .

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად**

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ხარისხის უზურნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სკოლაში სწავლა/სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვას და ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. წარმოდგენილი მექანიზმის მიზანია სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება. ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს სასწავლო პროგრამების შეფასება-გაუმჯობესებას, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, სკოლის მატერიალური რესურსების

გაუმჯობესებას. სკოლაში დანერგილი შეფასების შიდა სისტემა ეფუძნება დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავთარე P-D-C- A ციკლს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითდი და დამხმარე პროცესების აღწერა ერთ დოკუმენტად არ არის წარმოდგენილი, თუმცა წარმოდგენილია სკოლის რეგულაციებში: შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, კათედრების დებულება, ბიბლიოთეკის დებულება, ლაბორატორიის დებულება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტში გაწერილია შესაბამისი საქმიანობის აღმწერი პროცესები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესების ჩამონათვალის და მათი აღმწერების ერთიანი დოკუმენტი

3.სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

დაწესებულებას შინაგანაწესით განსაზღვრული აქვს დასაქმებულთა (გარდა მასწავლებლების) დისციპლინური გადაცდომის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანო და დისციპლინური წარმოების წესი, რომლის მიხედვითაც დასაქმებულთა (გარდა მასწავლებლების) დისციპლინურ გადაცდომებს განიხილავს სკოლის დირექტორი. მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი განისაზღვრება შინაგანაწესის მე-19 მუხლით, ხოლო მასწავლებლის მიმართ დისციპლინური წარმოება სკოლაში ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №167/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის შესაბამისად. სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით დასაქმებულთა დისციპლინური გადაცდომა შეიძლება განიხილოს ასევე დისციპლინურმა კომიტეტმა. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი კი შეიძლება იყოს: მოსწავლის, მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, სკოლაში დასაქმებული პირის, უფლებამოსილი პირის, აგრეთვე, იმ პირის წერილობითი მიმართვა ან ინფორმაცია, რომლის სამსახურებრივ მოვალეობასაც წარმოადგენს სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა. გაწერილია დისციპლინური დევნის/დისციპლინური წარმოების ვადები, შინაგანაწესის სხვადასხვა მუხლებით განსაზღვრულია თანამშრომლებისა და მოსწავლეების დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები.

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის ბაზაზე საჩივრის განხილვის მექანიზმი (სასკოლო დოკუმენტი), რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე (2023 წლის 16 ივნისის ოქმი#10). აღნიშნული მექანიზმი მოიცავს ინფორმაციას: საჩივრების განმხილველი ორგანოსა და განხილვის პროცედურაზე, საჩივრის სუბიექტზე, მტკიცების ტვირთის მატარებელზე, საჩივრის განხილვასა და გადაწყვეტაზე, საჩივრები ტიპებზე. საჩივრის წარმოებაში მიღებასა და უარის თქმის საფუძვლებზე.

სკოლის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებზე მითითებულია აქტის გასაჩივრების ვადა და ადგილი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.
სკოლაში დაცულია მოსწავლის, პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და არის ღია და მიმღებლობითი გარემო. სკოლის დირექცია ცდილობს დაამკვიდროს მართვის დემოკრატიული პრინციპები. დირექცია იღებს ვალდებულებას თითოეულ დაინტერესებულ პირს მიაწოდოს, ამომწურავი ინფორმაცია თავისი უფლებების, სკოლაში არსებული საჩივრების განხილვის სისტემისა და პროცედურების შესახებ. საჩივრებს განიხილავს სკოლის დირექტორი, სამეურვეო საბჭო ან სკოლის დისციპლინური კომიტეტი . განსაზღვრულია საჩივრის განხილვის ვადები.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი დებულება;
- შინაგანაწესი;
- ბრძანება N57 (07.03.2023 წ)გასაჩივრების პროცედურების შესახებ;
- სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- სკოლასა და დასაქმებულს შორის დადებული ხელშეკრულება;
- გასაჩივრების დეტალური პროცედურები სასკოლო გარემოში.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლა მოსწავლეებთან და სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის იყენებს ელექტრონულ ფოსტას, სოციალურ ქსელს - https://www.facebook.com/kobuleti6, სკოლის შენობის რეკრეაციულ სივრცეებს (სადაც აკრავს შესაბამის ინფორმაციას), სატელეფონო

კავშირს, საკლასო ოთახებს პირისპირ შეხვედრების დასაორგანიზებლად. სკოლაში ვიზიტის დროს წარმოდგენილი იქნა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის მასალები (შევსებული კითხვარები), რომელშიც გამოხატული იყო სასკოლო საზოგადოების დამოკიდებულება კონკრეტული საკითხების მიმართ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.**

სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა უზრუნველყოფილია სკოლის სტრუქტურულ ერთეულებში მათი მონაწილეობით. სამეურვეო საბჭო, სკოლის მართვის უმაღლესი ორგანო, წარმოდგენილია მშობლებით, მასწავლებლებითა და მოსწავლეებით. მოსწავლეთა თვითმმართველობაში გაერთიანებული არიან საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. პედაგოგიური საბჭო - მასწავლებელთა გაერთიანება, მონაწილეობს სასკოლო ცხოვრების მთელ რიგ გადაწყვეტილებების მიღებაში. კათედრები - კათედრის დონზე გადაწყვეტილებები მიღების პროცესში არიან ჩართული.
დისციპლინური კომიტეტსა და მრჩეველთა საბჭოში ასევე დაცულია წარმომადგენლობითობის პრინციპები რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობას სასკოლო ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სოციალური ქსელი;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები .

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლის ტერიტორია შემოღობილია და შეზღუდულია სკოლის ეზოში ავტომობილების გადაადგილება. შენობას აქვს 1 ცენტრალური შესასვლელი და 2 სათადარიგო გასასვლელი.

სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური წარმოდგენილი - 2 მანდატურით. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით.

სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, სკოლის დაცვას უზრუნველყოფს 2 დარაჯი. სკოლას გამოყოფილი აქვს ოთახი ექიმის კაბინეტისთვის, თუმცა <u>არ არის აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით.</u> <u>სკოლას არ ჰყავდა ექიმი ან ექთანი. დაწესებულებამ</u> ექიმის კაბინეტის აღჭურვილობის შესაძენად დახმარებისათვის მიმართა სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს.

სკოლას აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ, გაცემული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ (აქტი #162 მომზადებულია 17.07.2023). აღნიშნული დასკვნით შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.სკოლას აქვს გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ.

სკოლას სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული არ ჰქონდა სკოლის საგანგებო მართვის გეგმა, არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა
დაწესებულებას არ ჰყავდა სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.
სკოლას მიეცა რჩევა აიყვანოს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

დაწესებულებამ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დაადასტურა, რომ აქვს მზაობა მოკლევადიან პერიოდში გამოასწოროს აღნიშნული ხარვეზები კერძოდ:

ა) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეათანხმოს შესაბამის უწყებასთან (მიმდინარე წლის აგვისტო-დეკემბერი);

ბ) მოიპოვოს დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ (მიმდინარე წლის 22 დეკემბრამდე);

დ) აღჭურვოს სამედიცინო კაბინეტი (2023 წლის აგვისტო - 2024 წლის მაისი);

ე) ექიმის/ექთნის პოზიციაზე მოიძიოს და დაასაქმოს შესაბამისი კადრი (2024 წლის მაისი-აგვისტო).

წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს აქტივობები, ვადები, ადამიანური, და ფინანსური რესურსები, ჩართული მხარეები. გათვლილი აქვს რისკების დადგომის ალბათობა.წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შედგენის ეტაპზე არსებული მტკიცებულებები დანართის სახით.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში განახორციელოს შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები.

2. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**
სკოლას - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“. ბრძანების საფუძველზე შექმნილი აქვს მრჩეველთა საბჭო, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს საქმიანობას. უცხო პირთა/ვიზიტორთა რეგისტრაცია ხორციელდება სპეციალურ ჟურნალში, სკოლაში გამოვლენილ დარღვევებზე ხდება შესაბამისი რეაგირება, სკოლას ემსახურება 2 მანდატური. სკოლას განსაზღვრული ჰყავს საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელი პირები, სკოლის დამკვიდრებული პრაქტიკაა მასწავლებელთა მორიგეობა.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს
ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას ემსახურება ფსიქოლოგი, რომელიც მუშაობს სასკოლო საზოგადოებასთან. მოსწავლეებში პოზიტიური, თანამშრომლობითი ურთიერთობის ხელშეწყობას ემსახურება დამრიგებლის მუშაობა (დამრიგებლის დებულება დამტკიცებული 2022 წლის 7 სექტემბრის დირექტორის ბრძანება #01-03/47) და ასევე სადამრიგებლო პროგრამები. სკოლის დირექცია პრევენციისათვის პერიოდულად ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას

მოსწავლეებისთვის და მშობლებისათვის. ახორციელებს საგანმანათლებლო პროექტებს. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია შესაბამისი სახდელები ფსიქოლოგიური ზეწოლის შემთხვევაში.
სკოლას განსაზღვრული ჰყავს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფირების) პროცედურების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი (2019 წლის #01-03/12 ბრძანება), შემუშავებული აქვს ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია (2016 წლის 13 ოქტომბრის #01-03/91 ბრძანება). სკოლის მასწავლებლებს გავლილი აქვთ აჭარის განათლების ფონდის მიერ ორგანიზებული ტრენინგი „სკოლებში ბულინგის პრევენცია და ტოლერანტული განვითარების ხელშეწყობა“ და გამოხატავენ მზაობას ბავშვზე განხორციელებული ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის და ბულინგის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში სიტუაციის მართვაზე.
სკოლაში არსებული საერთო სარგებლობის სივრცეები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა დატვირთვით, მათ შორის როგორც მოსწავლეთა ნამუშევრების საგამოფენო სივრცეები და მოსწავლეების მეგობრული თავშეყრის ადგილები, ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალიზაციას.
ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთო სასკოლო გარემოზე ზრუნავენ ასევე სკოლის მანდატურები.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას
დაწესებულების ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფს 3 დამლაგებელი. სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე განსაზღვრულია ზედამხედველი პირი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი (2023 წლის 09 აგვისტო ბრძანება #01-03/38). სკოლას გაფორმებული აქვს შესყიდვის ხელშეკრულება ჰიგიენური საშუალებების შეძენაზე. ჰიგიენური საშუალებები დაცულია სპეციალურად ამისთვის განსაზღვრულ სათავსებში/ოთახებში, ოთახები ნიავდება ბუნებრივი გზით. სველ წერტილებში დაცულია ჰიგიენური ნორმები. ჰიგიენური პირობების დაცვა მიმდინარეობს, როგორც სკოლის შიდა, ასევე გარე პერიმეტრზე. სკოლის დირექტორის ბრძანებით გაწერილია დამლაგებლების მორიგეობის განრიგი. სკოლას შეძენილი აქვს 2 ცალი რეზერვუარი ტექნიკური წყისათვის. გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება შპს ქობულეთის დეზინფექციის სადგურთან, რომ თვეში ერთხელ ჩაატაროს სადეზინფექციო და სადერატიზაციო პროფილაქტიკური სამუშაოები. შემუშავებულია სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვის მექანიზმი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 8 აგვისტოს #01-03/36 ბრძანებით. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, პრივატულია და დაცულია.
სკოლას არ აქვს შემუშავებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანზმები
ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად
სკოლას მიეცა რჩევა:
მოახდინოს სანიტარული კვანძების დასუფთავებისათვის გამოყენებული/განკუთვნილი ინვენტარის მარკირება.
შეიმუშაოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანზმები.

5.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას
სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 04 აპრილის #01-03/19 ბრძანებით. დოკუმენტში გაწერილია მონაცემთა დაცვის პრინციპები, აღწერილია პერსონალური მონაცემების დამუშავება, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნები, პერსონალური მონაცემების დაცვა, ელექტრონული პროგრამის teams -ის გამოყენებისას, ელ-ჟურნალის წარმოებისას, ვიდეო თვალთავალის განხორცილებისას, ვიზიტორთა

შენობაში შესვლისას და გასვლისას, ელექტრონული ფოსტის და ტელეფონის ნომრის გამოყენებისას, მოსწავლეთა და მასწავლებელთა პირადი საქმეების, ელექტრონული ბაზის წარმოებისას, ვაკანსიების პორტალზე სკოლის გვერდის მართვისას, დოკუმენტით გაწერილია მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირებისა და მათი უფლებამოსილების შესახებ, გაწერილია თანამშრომელთა და მოსწავლეთა პასუხისმგებლობები, როგორ ხდება მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდება და ბოლოს განმარტებულია, როგორ ხორციელდება მონაცემების დაცვის მონიტორინგი. სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი 2023 წლის 4 აპრილის ბრძანება #01-03/18.

სკოლა მოსწავლის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების (სოციალურ ქსელში გავრცელება) შემთხვევაში იღებს ნებართვას მშობლისგან (დასტურდება ხელშეკრულებებით). ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაკვეთილზე დასწრების შესახებ (შეფასებები (განმავითარებელი/განმსაზღვრელი); გაცდენები; გამოცდები და ა.შ.) ვრცელდება მხოლოდ ელექტრონული ჟურნალის საშუალებით, ინდივიდუალურად, პერსონალურად მიეწოდება მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ინდივიდუალური შეხვედრების დროს საჭიროების შემთხვევაში უკავშირდება მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ტელეფონით, ელ-ფოსტით, სოციალური ქსელით. მოსწავლისა და მასწავლებლების პირადი საქმეები დაცულია კარადებში.

სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე წვდომის საშუალება აქვს მხოლოდ შესაბამის პასუხისმგებელ პირს. სკოლაში მომუშავე პერსონალს აქვს ვალდებულება, სკოლის შესახებ საქმიანი ინფორმაცია არ გასცეს მესამე პირზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები.

სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს, ახორციელებს დასაქმებულ პირთა, მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირებას ინფორმაციული უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე. სკოლაში გამოიყნება მხოლოდ ლიცენზირებული პროგრამები, სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება სოციალურ ქსელში, გარდა წინასწარ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან შეთანხმებული ინფორმაციისა. სკოლას ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი. მოსწავლეთა და პერსონალის პირადი ინფორმაციის დაცვას და ასევე ესქულის ბაზის, ეფლოუსთან წვდომა შეზღუდულია და ხელი მიუწვდება მხოლოდ შესაბამის პირს/პირებს. აღნიშნული რეგულაციები დეტალურად არის გაწერილი სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმში და ციფრული განვითარების გეგმაში.

სკოლის მიერ ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვისას გათვალისწინებული სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის და სამინისტროს მიერ დადგენილი რეკომენდაციები. სკოლას (ბრძანება N01-03/41. 09.08.2023 წელი) განსაზღვრული ჰყავს სკოლის ვებ-გვერდზე და სკოლის სოციალურ გვერდზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

7.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების პერიოდულ შეფასებას და შედეგების განხილვას მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნულ სხდომებზე სკოლის დირექტორი წარადგენს ანგარიშს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხელშეკრულება (ჰიგიენური საშუალებების შესყიდვა);
- 2023 წლის 6 ივლისის. ბრძანება N44 პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმების შესახებ ;
- 2023 წლის 4 აპრილის ბრძანება #01-03/18 (პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა);
- საშტატო განრიგი;
- **2019 წლის #01-03/12 ბრძანება;**
- **2016 წლის 13 ოქტომბრის #01-03/91 ბრძანება ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია .**
- 2022 წლის 7 სექტემბრის დირექტორის ბრძანება #01-03/47 (დამრიგებლის მუშაობის დებულება)
- სადამრიგებლო პროგრამები;
- პერსონალის მონაცემები მართვის საინფორმაციო სისტემიდან;
- მრჩეველთა საბჭოს დანიშვნის ბრძანება N49;
- ფსიქოლოგთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა დანართებით (დანართი 3. წერილი ექიმის კაბინეტის ინვენტარის შესახებ, დანართი 4. წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, დანართი 5. წერილი ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროსთან)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესალებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლამ წარმოადგინა ორი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. ერთი ამონაწერით სკოლას უდასტურდება ფართი 7467.00 კვ.მ. შენობა-ნაგებობა #1 – 1726.4 კვ.მ. (მისამართი ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა 5 მეორე შესახვევი. საკადასტრო **კოდი N 20.42.07.681**). მეორე ამონაწერით, არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი 2763 კვ.მ. იგივე მისამართზე(საკადასტრო **კოდი N 20.42.07.683**). სკოლა აღჭურვილია საგანმანათლებლო საქმიანობისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსით, კერძოდ: მერხი - 401, სკამი - 401, ლეპტოპი - 22, კომპიუტერი - 9, პროექტორი - 5, პრინტერი - 4. სკოლაში არის სამასწავლებლო, დირექციის ოთახი, გარე სპორტული მოედანი, სპორტული დარბაზი, სივრცე სასკოლო მუზეუმისა და კვების ობიექტისთვის, კარგად მოწყობილი ბიბლიოთეკა 3 ლეპტოპით და 1 პრინტერით, მაგიდებით, რბილი სავარძლებით, პუფებით, 14 საკლასო ოთახი. 7-7 სველი წერტილი გოგონებისა და ვაჟებისათვის, მათ შორის შშმ პირებისათვის.

რაც შეეხება ლაბორატორიებს, ვიზიტის პერიოდში სკოლაში არ იყო მოწყობილი ლაბორატორიები არც საბუნებისმეტყველო საგნებში და არც ტექნოლოგიებში. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისთვის გამოყოფილი იყო ორი მცირე ზომის სათავსო, ლაბორატორიული ხელსაწყოების და რეაქტივების შესანახად (ფიზიკა - ბიოლოგიაში-ერთი და ერთი ქიმიაში). სკოლას აქვს ხელსაწყოების და რეაქტივების, მოდელების და პლაკატების, სქემების, ცხრილების მწირი ჩამონათვალი, არ აქვს ამწოვი კარადა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში საგაკვეთილო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისათვის მასწავლებლები იყენებენ ვირტუალურ ლაბორატორიას და სხვადასხვა პლატფორმას, ასევე მათ ხელთ არსებულ ლაბორატორიულ ინვენტარს, რომელიც გააქვთ საკლასო ოთახებში. რაც შეეხება კომპიუტერულ ლაბორატორიას, სკოლას აქვს მოწყობილი სივრცე კომპიუტერული კლასისთვის, თუმცა ვიზიტის პერიოდში ის კომპიუტერებით არ იყო აღჭურვილი. დირექციის განმარტებით, ლაბორატორიებთან მიმართებით, პრობლემა გამოიწვია სკოლაში სხვა სკოლის დროებით (სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით) განთავსებამ რის გამოც ლაბორტორიები დროებით საკლასო ოთახებად გადააკეთეს.

მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა გეგმავს ორ ცვლაში მუშაობას (სკოლა, რომელიც ასევე სარგებლობდა აღნიშნული სკოლის ფართით ახალი სასწავლო წლიდან გადავა მისთვის განკუთვნილ შენობაში), რის შემდეგაც მას ექნება საშუალება მოაწყოს ლაბორატორიები.
სკოლის რესურს ოთახში მოხვედრა შესაძლებელია მხოლოდ საკლასო ოთახის გავლით. სკოლა ორცვლიან რეჟიმზე გადასვლის შემდეგ, რესურს-ოთახის ადგილმდებარეობის შეცვლასაც გეგმავს. გამოყოფილია ფართი სამედიცინო კაბინეტისთვის, რომელიც აღჭურვილია სველი წერტილით და კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაშია, თუმცა სამედიცინო კაბინეტისათვის საჭირო ინვენტარი არ აქვს სკოლას.
ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტაციით დასტურდება საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობისთვის აუცილებლი სხვადასხვა მომსახურებისა თუ რესურსის შეძენის საკითხი, შესაბამისი ფინანსური ხარჯები.
ინდიკატორის მოთოვნა დაკმაყოფილებულია
სკოლას მიეცა რჩევა მოაწყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, კომპიუტერული კლასი და შეცვალოს რესურსოთახის მდებარეობა

2.დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი, სკოლის ფოიე (რომელიც გამოიყენება სხვადასხვა სასკოლო აქტივობებისათვის და რომელშიც წარმოდგენილია პროქტორი და მუსიკალური ინტრუმენტი), პირველ სართულზე განთავსებული მცირე ზომის მუზეუმი, სკოლის ბიბლიოთეკა, ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. რესურს - კლასში წარმოდგენილი მატერიალური რესურსი განკუთვნილია სსსმ მოსწავლეებისთვის.
მასწავლებლებისათვის განკუთვნილი სამასწავლებლო აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და მატერიალური რესურსით (პრინტერი, კარტრიჯი, საკანცელარიო საქონელი) და ხელმისაწვდომია პედაგოგებისთვის.
ადმინისტრაციული-ტექნიკური პერსონალისთვის საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად საჭირო რესურსი - კაბინეტები, კომპიუტერები, პრინტერები, საკანცელარიო საქონელით და შესაბამისი ინვენტარით არის უზრუნველყოფილი.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად ვერ უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების ინკლუზიურ გარემოს ყველა მოსწავლისთვის. შშმ პირებისთვის სკოლის შესასვლელში არის პანდუსი, თუმცა შშმ პირს არ ეძლევა საშუალება, რომ გადაადგილდეს სკოლის სხვა სივრცეში გარდა პირველი სართულისა (სკოლის შენობა სამსართულიანია და არ არის ადაპტირებული შშმ პირებისათვის). მოწყობილია სველი წერტილები შშმ პირებისთვის (ცალ-ცალკე გოგონებისა და ვაჟებისათვის პირველ სართულზე), რესურს ოთხში თავმოყრილია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.
დაწესებულებამ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დაადასტურა, რომ აქვს მზაობა მოკლევადიან პერიოდში (2023 წლის აგვისტო - 2024 წლის აგვისტო) გამოასწოროს აღნიშნული ხარვეზი, უზრუნველყოს სკოლის შენობის ადაპტირება შშმ პირებისათვის
სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში სკოლის შენობის სრულად ადაპტირება შშმ პირებისათვის

4.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის დერეფნები, სპორტული დარბაზი, სკოლის ეზო, გარე სპორტული მოედანი გამოიყენება ისეთი აქტივობების განსახორციელებლად, როგორიცაა: ტრენინგები, შეხვედრები, კონფერენციები, საზეიმო ღონისძიებები, შეჯიბრებები, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებაში. სკოლის ფოიეები გამოიყენება როგორც მოსწავლეთა ნამუშევრების საგამოფენო სივრცე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5.სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით.

- სკოლის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია 6445 ერთეული სახელმძღვანელო, 2059 ერთეული მხატვრული ლიტერატურა. მეთოდური სახელმძღვანელობი. სკოლას წარმოდგენილი აქვს ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერებით;
- ისტ-ის კაბინეტისთვის გამოყოფილია სივრცე და იგეგმა მისი მოწყობა, იგეგმება ასევე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების მოწყობა. რესურსები ლაბორატორიებისათვის სკოლას აქვს;
- საზოგადოებრივი მეცნიერებებს გაკვეთილებისთვის სკოლას შეძენილი აქვს რუკები, გლობუსები;
- სპორტული დარბაზი აღჭურვილია 3 ჩოგბურთის მაგიდით, ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის ბურთებით, ბადმინტონის კომპლექტით, ჰანტელებით, გადასაწერვი ბაგირით, ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის ბადით, ტანვარჯიშის ლეიბებით და ხარიხით და სხვა;
- სკოლას აქვს ჭადრაკის დაფები;
- სსსმ პირებს წვდომა აქვთ კურიკულუმით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. რესურსები განთავსებულია როგორც საკლასო ოთახებში ასევე რესურსოთახში

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- აზომვითი ნახაზი;
- სკოლის ინვენტარიზაციის დოკუმენტი;

- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

გამოწვევებისათვის საპასუხოდ, სკოლამ ჩაატარა თვითშეფასება და გამოვლენილი საჭიროებების უზრუნველსაყოფად შეიმუშავა ერთწლიანი ციფრული განვითარების გეგმა. ვიზიტის პერიოდში სკოლას კომპიუტერული ლაბორატორია არ ჰქონდა მოწყობილი, თუმცა სივრცე მისი მოწყობისათვის გამოყოფილია. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების წესი (ბრძანება N01-03/58, 14.09.2022 წ.) და ასევე მოსწავლეებისათვის განკუთვნილ კომპიუტერულ კლასში/სამუშაო სივრცეში მუშაობის განრიგი. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის წარმართვას იმის გათვალსიწინებით რომ სკოლა გეგმავს კომპიუტერული კლასის მოწყობას.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

დაწესებულება ცდილობს უზრუნველყოს კომპიუტერების და შესაბამისი მომსახურების ხელმისაწვდომობა. ამისთვის მოწყობილი აქვს სამუშაო საზიარო სივრცეები ადმინისტრაციისა და მასწავლებლებისათვის სამასწავლებლოში და ადმინისტრაციისათვის განკუთვნილ ოთახში. საერთო სარგებლობის სივრცეში - ფოიეში. მოსწავლეებისათვის გეგმავს კომპიუტერული ლაბორატორიის მოწყობას (რომელიც მათი განმარტებით დროებით არის გაუქმებული, რადგან სკოლის შენობაში ერთდროულად ორი სკოლა ფუნქციონირებდა). სამუშაო საზიარო სივრცეები მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისათვის მოწყობილია ასევე სკოლის ბიბლიოთეკაში. სკოლას უკვე გაწერილი აქვს მოსწავლეთა სამუშაო სივრცეში/კომპიუტერულ ლაბორატორიაში მუშაობის განრიგი დღეების მოხედვით, გამოყოფილი ჰყავს ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ მასწავლებლები. მშობლებთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან სწრაფი კომუნიკაციის მიზნით შექმნილია ონლაინ სამუშაო ჯგუფები.სკოლას ინტერნეტი მიეწოდება ინტერნეტ-პროვაიდერი ''სქაინეტი''-ს მიერ. შენობის სამივე სართულზე დამონტაჟებულია WI-FI მოწყობილობა. სკოლა სარგებლობს ელექტრონული საცავით Microsoft Onedrive- ზე, რომელშიც ინახავს და თანამშრომლბთან აზიარებს ინფორმაციას. სკოლის ინფორმაციულ ტექნოლოგებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით და არსებულ გამოწვევებისათვის სათანადოდ საპასუხოდ, სკოლამ ჩაატარა თვითშეფასება და გამოვლენილი საჭიროებების უზრუნველსაყოფად შეიმუშავა ერთწლიანი ციფრული განვითარების გეგმა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების წესი (ბრძანება N01-03/58, 14.09.2022 წ.);
- ციფრული განვითარების გეგმა;
- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას 2022 წლის 1 ივლისის N01-03/34 ბრძანებით დამტკიცებული აქვს სსიპ ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N6 საჯარო სკოლაში სამისწარმოების ინსტრუქცია, რომელიც არეგულირებს ორგანიზაციაში ელექტრონულ და მატერიალურ დოკუმენტბრუნვის ორგანიზების საკითხებს. სკოლა ახდენს დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურებს, დაცულია დოკუმენტის ფორმები და ტიპები, რეგისტრირდება გასული და შემოსული დოკუმენტაცია, პერსონალის და მოსწავლეების პირადი საქმეები იწარმოება დადგენილი წესის შესაბამისად. საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის, “eflow”-ს მეშვეობით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას Eflow, eschool, Office 365, Gmail, ელექტრონული ჟურნალი. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება სხვადასხვა ჯგუფები სოციალურ ქსელში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს eschool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს სკოლის საქმისმწარმოებელი. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eschool-ის სისტემის მეშვეობით. ინფორმაციის და კორესპოდენციის მისაღებად სკოლაში გამოიყენება ელექტრონული ფოსტა **Kobuleti6@mes.gov**.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლა სრულად, კანონმდებლობის შესაბამისად თანამშრომლობს მარეგულირებელ უწყებებთან, დროულად აწვდის მათ ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას. არაუგვიანეს 10 დეკემბრისა სკოლის დირექტორი ფინანსური და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022 წლის 1 ივლისის N01-03/34 ბრძანება სსიპ ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N6 საჯარო სკოლაში სამისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცეების თაობაზე;
- საქმისწარმოების ინსტრუქცია;
- შემოსული და გასული კორესპონდენცია;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით

სკოლამ ვიზიტის პერიოდში დაიწყო სკოლის ვებგვერდზე მუშაობა. საზოგადოების ინფორმირებისათვის, სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალების გასავრცელებლად სკოლა იყენებს სოციალურ ქსელს (სოციალურ ქსელში შექმნილია სხვადასხვა ე.წ დახურული ჯგუფები, რომლის საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია), ელექტრონულ ჟურნალს, ფოსტას, სატელეფონო კომუნიკაციას, საგანმანათლებლო პლატფორმას Microsoft Teams-ს. სკოლის ფოიეში არის საინფორმაციო დაფა, სადაც სკოლა ასევე ათავსებს სიახლეებს და ხელისაწვდომს ხდის ინფორმაციას სასკოლო საზოგადოებისათვის.

ინდიკატორი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2.სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

სკოლას განსაზღვრული ჰყავს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის პასუხისმგებელი პირი (09.08.2023 წლის ბრძანება N01-03/39) და სკოლის ვებგვერდზე და სკოლის სოციალურ ქსლზე პასუხისმგებლი პირი (09.08.2023 წლის ბრძანება N01-03/41) რაც უზრუნველყოფს სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცლებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა ინფორმაციის გაცვლისას იყენებს ელექტრონული ფოსტას, კითხვარებს, სოციალური ქსელს, დახურულ ჯგუფებს, Teams-ის პლათფორმას. სკოლის არსებული პრაქტიკის მიხედვით სკოლა პროექტების დაგეგმვის პროცესში მაგ. საპროექტო წინადადების თემის/პრიორიტეტული თემის შერჩევისას მიმართავს მოსწავლეებს და მასწავლებლებს და პროექტის შემუშავებისას ითვალისწინებს მათ უკუკავშირს, ასევე სკოლის საათობრივი ბადის დაგეგმვისას ითვალისწინებს მშობლების არჩევანს უცხოურ ენასთან დაკავშირებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4.სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლა ვიზიტის პერიოდში ამუშავებდა ვებგვერდს. ინფორმაციას ვებგვერდზე ტვირთავდა ქართულ ენაზე

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5.ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია

(განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ვიზიტის პერიოდში ვებგვერდი მუშავდებოდა. შესაბამისად ინდიკატორით განსაზღვრული ინფორმაცია ჯერ არ იყო ასახული

დაწესებულებამ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დაადასტურა, რომ აქვს მზაობა მოკლევადიან პერიოდში (მიმდინარე წლის აგვისტო-ნოემბერი) გამოასწოროს აღნიშნული ხარვეზი, ვებგვერდზე ატვირთოს სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაცია.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში სკოლის ვებგვერდზე სკოლის შესახებ ინფორმაციის (მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია) ასახვა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- <u>სკოლების პორტალი - სკოლის ფურცლები (ემის.გე)</u>
- 09.08.2023 წლის ბრძანება N01-03/39 საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- 09.08.2023 წლის ბრძანება N01-03/41 სკოლის ვებგვერდზე და სკოლის სოციალურ ქსლზე პასუხისმგებლი პირის განსაზღვრის შესახებ;
- შესაბამისობის უზრუნვლყოფის გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სკოლა შეიმუშავებს როგორც საპროგნოზო, ასევე ფაქტობრივ ბიუჯეტს. ახდენს თვიურ ფინანსურ ანგარიშგებას. სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლა ფინანსური რესურსით უზრუნველყოფს ერთწლიანი გეგმის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.**

სკოლა ფინანსურ დაგეგმვას ახორციელებს წინა სასწავლო წელს გაწეული ფაქტიური ხარჯების, მიმდინარე წლის შემოსავლებისა და სკოლის მიერ შემუშავებული პრიორიტეტების გათვალისწინებით. სკოლას შემუშავებული აქვს ყოველკვარტალზე გათვლილი მონიტორინგი, რომელიც ამოწმებს შემოსულ თანხებსა და გასულ დანახარჯებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შესყიდვების გეგმა;
- ბიუჯეტის პროექტი;
- სკოლის 2023 წლის ბიუჯეტი;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის არსებული პრაქტიკა მიუთითებს მოსწავლეთა თვითმმართველობის არსებობას. მოსწავლეთა თვითმმართველობას შემუშავებული აქვს საკუთრი დებულება. მათი ინიციატივით შექმნილია 2 კლუბი და 2 წრე. სკოლის მოსწავლეები გაერთიანებული არიან სკოლის სტრუქტურულ ერთეულებში: სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო (2022 წლის 14 სექტემბრის ბრძანება N01-03/56), დისციპლინური კომიტეტი და შესაბამისად მონაწილეობს სკოლის მმართველობითი საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში შესაბამისად დაცული და უზრუნველყოფილია მოსწავლეთა უფლებები მონაწილეობა მიიღონ სკოლის მართვაში.

სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს მოსწავლის წახალისების ფორმებს, დისციპლინური გადაცდომისა და პასუხისმგებლობის სახეებს. მოსწავლის საჩივრის განხილვისას სკოლა ხელმძღვანელობს სკოლის წესდებითა და სკოლის ბაზაზე საჩივრის განხილვის მექანიზმით, რომელიც სამეურვეო საბჭოს მიერ არის დამტკიცებული 2023 წლის 16 ივნისის ოქმით N10 და სადაც დაზუსტებულია

საჩივრის ფორმა, ვადები, ვინ წარმოადგენს ადრესატს და ა.შ. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია (ბრძანება N01-03/91), განსაზღვრულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი (ბრძანება N01-03/12, 13 თებერვალი, 2019 წელი).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის წარმოდგენილი სასკოლო რეგულაციების გაცნობა სასკოლო საზოგადოებისათვის კლასის დამრიგებლის ფუნქციაა. კლასის დამრიგებლები მშობლებსა და მოსწავლეებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს. თავად ფაქტი, რომ შინაგანაწესს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო ადასტურებს მის გაზიარების ფაქტს სასკოლო საზოგადოების მიერ. გარდა ზემოაღნიშნულისა მოსწავლეს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელთან და მასწავლებელთან ხელშეკრულება ითვალისწინებს შინაგანაწესის გაცნობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებელი ხელშეკრულება მოიცავს სკოლის, მშობლის და მოსწავლის უფლება-მოვალეობებს და მოსწავლის პერსონალური ინფორმაციის დამუშავება/გამოყენების წესს. აღნიშნული ხელშეკრულების პუნქტები მკაფიოა და გამჭვირვალეა

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წამომადგენელთან გაფორმებლი ხელშეკრულება;
- თვითმმართველობის დებულება;
- შინაგანაწესი;
- საჩივრის განხილვის მექანიზმი;
- სამეურველ საბჭს ოქმი;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი;
- დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობები;

- სსიპ ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N6 საჯარო სკოლის მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი N2 (23 დეკემბერი, 2022 წ.)

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის დროს ხელმძღვანელობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N193/ნ ბრძანებით, ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 40/ნ, საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N04/ნ ბრძანებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მომსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

სკოლას მიეცა რჩევა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის და სტატუსის შეჩერების გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები გაწეროს ერთიან დოკუმენტად, დააკონკრეტოს სკოლის მიერ განსახორციელებელი ქმედებები (კანონმდებლობის შესაბამისი) და ხელმისაწვდომი გახადოს სასკოლო საზოგადოებისათვის,. განათავსოს სკოლის ვებგვერდზე

2.სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა სკოლის მიერ მოსწავლის ჩარიცხვის და საფეხურის დაძლევის, მობილობის სტატუსის შეჩერების კანონმდებლობით გაწერილ რეგულაციები. დადგინდა, რომ სკოლა იცავს მინისტრის შესაბამისი ბრძანებებით განსაზღვრულ ვალდებულებებს

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3.სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში კლასის კრებებზე მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამის მუხლებს, ქცევის წესებს, ტანსპორტირების პირობებს, წრეები რომლებიც ფუნქციონირებენ სკოლაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

<u>სკოლას მიეცა რჩევა სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები, პირობები, პროგრამები, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურები (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია განათავსოს ვებგვერდზე.</u>

4.სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლა პროგრამების სერვისების, აქტივობების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს სოციალური ქსელის - სკოლის Facebook გვერდის, სკოლის დერეფნებში სართულებზე განთავსებული საინფორმაციო დაფების და სხვადასხვა დახურული ჯგუფების საშუალებით. სკოლის Facebook გვერდის ადმინისტრირებისთვის სკოლას გამოყოფილი ჰყავს პირი, რომელიც პასუხისმგებელია ინფორმაციის დროულად, გასაგებად მიწოდებაზე. კლასის დამრიგებლები სოციალური ქსელით დახურულ ჯგუფებში ზოგჯერ ელექტრონული ფოსტით, სატელეფონო საუბრებით, სადამრიგებლო კრებებზე, პირადი კომუნიკაციის გზით ავრცელებენ სკოლასთან შეთანხმებულ ინფორმაციას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედსაბჭოს ოქმი;

- კლასიდან კლასში მოსწავლეთა გადაყვანის ბრძანება;
- .კლასის დამრიგებელთა პორთფოლიოები;
- მონაცემები განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი, რომლითაც რეგულირდება პირველ კლასში ჩარიცხული და სხვა სკოლიდან მობილობით გადმოსული მოსწავლეების მხარდაჭერა სასკოლო სივრცეში. გაწერილია კონკრეტული აქტივობები და მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის და სასკოლო გარემოსთან ადაპტირების პროცესში ჩართული იქნება ასევე სკოლის ფსიქოლოგი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის გეგმა, სადაც გათვალისწინებულია პირველკლასელთა და სკოლაში მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა ადაპტაციის გამოწვევები, ადაპტაციის განმსაზღვრელი ფაქტორები და გაწერილია წარმატებული ადაპტაციის მახასიათებლები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3.მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა საჭიროების შემთხვევაში უწევს კონსულტაციებს მოსწავლეებს. მასწავლებლეები ატარებენ დამატებით მეცადინეობებს მოსწავლეებთან აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით. საშემოდგომო გამოცდის, ექსტერნატის, ნიშნის ამაღლების გამოცდების ჩატარებამდე მასწავლებლები მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას საგამოცდო პროგრამის და შესაბამისი რესურსის შესახებ. უწევენ კონსულტაციებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4.სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლა მოსწავლეებს აწვდის დაუყოვნებლივ ინფორმაციას ექსტერნატის, ნიშნის ამაღლების, საშემოდგომო გამოცდის გამოცხადების შესახებ და უზრუნველყოფს შესაბამის მომსახურებას. საშემოდგომო და ექსტერნატის გამოცდების, შემთხვევაში მასწავლებლები მუშაობენ მოსწვალესთან/მოსწავლეებთან მისი საჭიროებებიდან გამომდინარე. მოსწავლეების განკარგულებაშია სკოლის ბიბლიოთეკის რესურსები. სხვადასხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებში მოსწავლეთა მონაწილეობის საკითხებში ჩართულია როგორც სკოლის ადმინისტრაცია, ასევე კათედრები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5.სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლას ჰყავს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალი (მასწავლებლები, ადმინისტრაცია), რომელთა ხელშეწყობით მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ განახორციელონ დამატებითი აქტივობები. სკოლა გეგმავს როგორც დამატებითი/არაფორმალური განათლების ხელშეწყობას ასევე მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებას. სკოლაში არსებული პრაქტიკა და წარმოდგენილი არაფორმალური მიმართულებით განხორციელებული სხვადასხვა პროექტის მტკცებულებები მიუთითებს, რომ აღნიშნული მიმართულებით - არაფორმალური და დამატებითი აქტივობების მხრივ მოსწავლეთა ინიციატივები წახალისდება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6.მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლას აქვს მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვის პრაქტიკა, რომელსაც ის იყენებს მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში. მაგალითად, სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტული თემის არჩევასა და მის დანერგვაზე პროექტის დაგეგმვა/განხორციელების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. სკოლა ასევე იღებს უკუკავშირს სხვადასხვა სტრუქტრული ერთეულების მხრიდან, მაგალითად მრჩეველთა საბჭოსგან, სამეურვეო საბჭოსგან და ითვალისწინებს სკოლის მართვისა და უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის ნაწილში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N01-03/40 სსიპ ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N6 საჯარო სოლაში პირველი კლასის მოსწავლისა და სხვა სკოლიდან გადმოსული მოსწავლის ადაპტაციის შესახებ.;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- სამეურვო საბჭს ოქმები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლამ წარმოადგინა მემორანდუმი გაფორმებული კოლეჯთან, რომლის ფარგლებშიც დადებულია შეთანხმება მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარებასთან დაკავშირებით. კლასის დამრიგებლების ვალდებულებაშია მოსწავლეებს დროულად მიაწოდონ ინფორმაცია საუნივერსიტეტო პროგრამებთან დაკავშირებით მათი მომავალი პროფესიული განვითარების სწორად დაგეგმვის მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სკოლის პრაქტიკაა ღია კარის დღეების ორგანიზება სადაც მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მიეწოდებათ ინფორმაცია მოსწავლეთა კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

დირექციასთან, საშუალო საფეხურის დამრიგებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა გეგმავს **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მიმართულებით გაწეული საქმიანობის შეფასებას და სამომავლოდ შეფასების შედეგების გათვალისწინებას საქმიანობის კიდევ უფრო ეფექტურად დასაგეგმად.**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

სკოლას მიეცა რჩევა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს და გაწეროს დაგეგმილი მომსახურების შეფასების მექანიზმები, რომელთა საფუძველზეც შეაფასებს საქმიანობას და შეფასების შედეგებს გამოიყენებს მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ურთიერთშთანხმების მემორანდუმი სსიპ კოლეჯი სპექტრი და სსიპ ბადრ ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N6 საჯარო სკოლას შორის;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები, რომლითაც არეგულირებს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირების, სსსმ სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის, ინდივიდუალური გეგმების შეუშავების, მომსახურების მიწოდების, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირების, ინკლუზიური განათლების მონიტორინგის რეგულაციებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერისთვის სკოლაში იქმნება ისგ ჯგუფები. ისგ ჯგუფის მუშაობაში ისგ ჯგუფის წევრთა ჩართულობა დასტურდება სხდომის ოქმებით, მიიღება ერთობლივი გადაწყვეტილებები მოსწავლეთა ინდგეგმების შემუშავების/შეფასების/ მოდიფიცირების შესახებ. მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესი მხარდაჭერილია სკოლის სივრცეში ისგ ჯგუფის წევრთა თანამშრომლობის გზით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 08.08.2023 წლის N01-03/35 ბრძანება სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციების დამტკიცების შესახებ;

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კვების სერვისს. კევბის ბლოკი სკოლას აქვს იჯარით გაცემული ბიზნეს ოპერატორზე კანონმდებლობის სრული დაცვით, ტრანსპორტირების სერვისს ახორციეელებს აჭარის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2 **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლაში ფუნქციონირებს ქიმიის (ქიმია ოჯახში), ფიზიკის (ევრიკა) ხელოვნების (პიკასოს ბავშვები), ისტორიის წრე (პეტრა). წრეებში მოსწავლეები ნებაყოფლობითი პრინციპით განცხადების საშუალებით არიან გაერთიანებული. წრეებს აქვთ სამუშაო პროგრამა, წესდება, განსაზღვრულია წრის მიზნები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3.შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

სკოლაში ყველა სახის მომსახურება ხორციელდება "სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესით და პირობებით" და ფსიქოლოგის სერვისის გათვალისწინებით. ყველა სახის მომსახურება შეესაბამება უსაფრთხოების ზოგადად არსებულ ნორმებს და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფართის იჯარით გაცემის დოკუმენტაცია;
- წრეების წესდებები, მიზნები, პროგრამები;
- განცხადებები წრეში გაერთიანების თაობაზე.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება
სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

დანართი №2

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, მოწოდებული დოკუმენტაცია, ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოები და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგები იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში ურთიერთთანამშრომლობენ, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს, მსჯელობენ მათთვის საინტერესო საკითხებზე და მიდიან კონსესუსამდე. შეხვედრებზე მასწავლებლებს შორის მიმდინარეობს მსჯელობა კლასებისა და მოსწავლეთა სუსტ და ძლიერ მხარეებზე. შესაბამისად, კურიკულუმების შედგენის დროს იგეგმება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, კომპლექსური დავალების აქტივობების დიფერენცირება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები. მშობლისა და მოსწავლის ინტერესები დადგენილ იქნა გამოკითხვის მეთოდით. მათი უკუკავშირების საფუძველზე დაიგეგმა რიგი აქტივობები. განხორციელდა კურიკულუმის მეთოდიკის შემუშავება. სამომავლოდ სკოლა გეგმავს შეიმუშაოს სასკოლო კურიკულუმების შევსების მეთოდოლოგია და დებულება.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

2. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები, რაც დადგინდა მათი გამოკითხვის საშუალებით. კერძოდ, დაიგეგმა ახალი სასწავლო წლიდან ყველა კლასში კომპლექსური დავალებების განხორციელება, რისთვისაც პედაგოგები მოიძიებენ და მოამზადებენ მოსწავლეებისთვის საინტერესო კონტექსტ-მაგალითებს. შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს.
ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების მოთხოვნების შესაბამისად, საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია შესაბამისი საგნის ქოუჩებთან

მასწავლებლების ურთიერთთანამშრომლობით. მასში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, საჭიროებები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. ასევე კათედრები მომავალ სასწავლო წელს გეგმავს სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან და მეტად აქტიურად ჩართვას კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში კათედრა გაეცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მოწოდებულ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ კურიკულუმის ჩარჩოს. აღნიშნული კურიკულუმის ჩარჩო განხილული იქნა კათედრაზე, რომლის მიხედვითაც შემუშავდა სასკოლო საგნობრივი კურიკულუმები.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- მშობელთა კრების ოქმები;
- სასკოლო-სასწავლო მიზნები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

დაწყებით საფეხურზე კურიკულუმები, მე-5 და მე-6 კლასებში, ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი. რაც შეეხება I-IV კლასებს, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და კურიკულუმის ჩარჩოს განხილვისას აქაც გამოიკვეთა რამდენიმე დეტალი (თავდაპირველად გადმოგზავნილ მე-4 , მე-5 და მე-6 კლსების კურიკულუმებში იყო კონტექსტმაგალითებისა და რესურსების სიმცირე, იყო საკითხი და არ იყო კომპლექსური დავლების იდეა) რაც ინტერვიურების პროცესში მიცემული რჩევისა და რეკომენდაციების საფუძველზე მალევე აღმოიფხვრა და პედაგოგებმა დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში წარმოადგინეს უკვე სახეშეცვლილი და ესგ-ს გრძელვადიან მიზნებზე მორგებული კურიკულუმის ჩარჩოები. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ დაწყებითი საფეხურის მე-5, მე-6 კლასების მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, ქვესაკითხების, რესურსების, ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი, გარდა ამისა, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს მრავალმხრივი უნარ-ჩვევების განვითარებისათვის. აქცენტი კეთდება ენობრივი უნრ-ჩვევების განვითარებაზე, ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე, სწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე, მოსწავლეზე ორიენტირებულ კონსტრუქტივისტულ მიდგომაზე, სწავლისადმი პოზიტიური დმოკიდებულების ჩამოყალიბებაზე. მნიშვნელოვანია, რომ დაწყებით საფეხურზე ასევე გათვალისწინებულია წინარე ცოდნა, ცოდნის აგებაში დახმარება, მოსწავლეების ცოდნის კონსტრუირებაში დახმარება, მოსწავლის მოტივაციის და სწავლისთვის ხელსაყრელი/პოზიტიური გარემოს შექმნა.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)**

დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ

ცნებებსა და ქვეცნებებს, აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ ორიგინალური დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, მაგალითად , მე-5 კლასში მოსწავლეები ლადო ასათიანის ლექსსა და ხალხურ ლექსებზე დაყრდნობით ამზადებენ ინტერვიუს, გარდა ამისა, ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ ხორციელდება პროექტები, სხვადასხვა სახის ღონისძიება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

სკოლას მიეცა რჩევა:

სახვითი და გამოყენებით ხელოვნებაში:

- ყველა თემატურ ბლოკში მუშავდებოდეს საფეხურზე სტანდარტით განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნება;
- დაწყებით საფეხურზე თემატური ბლოკები სტანდარტით განსაზღვრულია - ხელოვნება ჩემ გარშემო, ადამიანები და ხელოვნება, მე და გარესამყარო. სასურველია გრძელვადიანი სამიზნე ცნებები მუშავდებოდეს თემატური ბლოკის ფარგლებში და ახალი სასწავლო წლის დაწყებმადე აისახოს კურიკულუმებში.

მუსიკაში:

- დაწყებით საფეხურზე განსაზღვრულია თემები და სამიზნე ცნება/ქვეცნებები, სასურველია ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე კურიკულუმით განისაზღვროს კომპლექსური დავალებები და აისახოს კურიკულუმებში.

კომპიუტერული ტექნოლოგიებში:

- ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე კურიკულუმში აისახოს საფეხურის ფარგლებში განსაზღვრული თემები და სამიზნე ცნებები საგნის სტანდარტის შესაბამისად და მოხდეს მათი ასახვა კომპლექსურ დავალებებში;
- საფეხურის ფარგლებში დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით დაიფაროს არა მხოლოდ სამივე მიმართულება და ყველა სამიზნე ცნება, არამედ ყველა საკითხი თემატური ჩარჩოდან;
- თითოეულ კლასში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით დაიფაროს სამივე მიმართულება; ერთი კომპლექსური დავალებით შესაძლებელია ორი სამიზნე ცნებისა და საკითხთა კლასტერის დაფარვა;
- თითოეულ კლასში წარმოდგენილი ორი კომპლექსური დავალება არ მიემართებოდეს ერთსა და იმავე საკითხს;
- კომპლექსური დავალებების დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნას მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებანი.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

დაწყებით საფეხურზე საგნობრივი ჯგუფების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას მხოლოდ სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანდა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები ამ კუთხით ინფორმირებულნი არიან, აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, სთავაზობენ მრავალფეროვან რესურსებს, აუდიო ან ვიზუალურ მასალებს, გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომელთა დახვეწასა და სრულყოფასაც გეგმავენ სექტემბრისთვის, კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების საშუალებით. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით სკოლა

გეგმავს აქტივობებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას. სკოლას აქვს კარგი გამოცდილება უცხოენოვანი გარემოდან მოსული მოსწავლეების სასწავლო საჭიროებების დადგენის და სასწავლო პროცესში გათვალისწინების, მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბავშვებთან დიფერენცირებული მიდგომების გამოყენების და ა .შ., თუმცა აქვე აღნიშნავენ, რომ ამ მიმართულებით სკოლასა და პედაგოგებს მეტი მუშაობა მართებთ. გარდა ამისა, ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და მოსწავლის პირველადი მართვა, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N6 საჯარო სკოლამ გადაწყვიტა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებზე მუშაობა დაეგეგმათ. აღნიშნულ ეტაპზე განიხილეს შეფასების რუბრიკებიც, დაწყებით საფეხურზე იგეგმება განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა, რომლებიც გრძელვადიან მიზნებზე იქნება ორიენტირებული, შუალედური მიზნების საშუალებით - ყოველივე ეს ნათლად გამოიკვეთა ინტერვიუების დროს, გარდა ამისა, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სექტემბრისთვის გეგმავენ მრავალფეროვნი შეფასების რუბრიკების მომზადებას იმ კომპლექსური დავალებების საფუძველზე, რომელთა განხორციელებასაც აპირებენ.

გამომდინარე ზემოთთქმულიდან ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ჩანს, რომ დაწყებითი საფეხურის კათედრა ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას. შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმით აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კათედრის სხდომაზე ხდება გამოვლენილი ხარვეზების ანალიზი, გადაჭრის გზების დასახვა, წარმატებული გამოცდილების გაზიარება და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადამუშავებული საგნობრივი კურიკულუმების შედგენა. მასწავლებლებს აქვთ კურიკულუმის შექმნის გამოცდილება, წინა წლებში შექმნილმა სასწავლო გეგმებმა გაუადვილა მათ კურიკულუმის კომპონენტებში გარკვევა, თემატურ-სტრუქტურული ერთეულების გამოკვეთა. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები მოწმობს, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შემუშავებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს. საგნობრივი კათედრების წევრები რეგულარულად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აკეთებენ რეფლექსიას, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს. მიღებული ინფორმაციისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება კურიკულუმის გადამუშავება, დახვეწა და განვითარება.

წარმოდგენილი მონაცემების გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სსიპ- ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის #6 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- კათედრების ანგარიშები;
- შეფასების რუბრიკები;
- მატრიცები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

წარმოდგენილი კურიკულუმები მოსწავლეს სთავაზობს მრავალფეროვან, კომპლექსურ საკითხებს და კომპლექსური ბუნების დავალებებს, მოცემული დავალებები მოსწავლეს საშუალებას აძლევს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. გასაუბრებაზე მასწავლებლებმა გააჟღერეს, რომ საგაკვეთილო პროცესის პარალელურად მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობით. მაგ. რუსულ ენაში ჩატარდა ზღაპრის ინსცენირება-„სოკოს ქვეშ“, სადაც მოსწავლეებმა დაამზადეს სოკოს მაკეტი.წარმოდგენილი დოკუმენდაციიდან დასტურდება, რომ სკოლაში ფუნქციონირებს წრე, მასწავლებლებს აქვთ პროექტებზე მუშაობის გამოცდილება, რომელიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. გეგმავენ არაფორმალური განათლების ხელშეწყობის გაძლიერებას, პოზიტიური სასკოლო კლიმატის და მოსწავლის ინიციატივების წახალისებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

დაწყებითი საფუხურის კურიკულუმი აგებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. კურიკულუმში საკითხები იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ მოსწავლეს აქვს წინარე ცოდნაზე ახალი ცოდნის დაშენების შესაძლებლობა. მაგალითად, მოსწავლეები ქმნიან თხზულებას, სადაც აღწერილი იქნება სკოლის მოსწავლეების ცხოვრება სხვადასხვა ქვეყანაში, რასაც წინ უსწრებს საკითხის - „ბრიტანულ და ქართულ სკოლებს შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების შესახებ " შესწავლა. მოსწავლეს უწევს გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებით და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. წარმოდგენილია,პედაგოგების სემესტრული ანგარიშებიც, სადაც აღწერილია გასული წლის/სემესტრის მიღწევები და გამოწვევები. მასწავლებლებმა ინტერვიუშიც გააჟღერეს, რომ სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დადგინდეს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები, გამოთქვეს მზაობა მოსწავლეებს, თემებში შესთავაზონ აზრიანი, შინაარსიანი კონტექსტი, რაც მათი შინაგანი ძალების გააქტიურებას შეუწყობს ხელს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელება მოიაზრებს სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებას. საბოლოო პროდუქტის შექმნა მოითხოვს საკუთარი სასწავლო საქმიანობის დაგეგმვას, რეფლექსიას, ინფორმაციის გადამუშავების და ცოდნად გარდაქმნის უნარებს. ინტერვიუში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებაზე. წარმოდგენილია მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკებიც, რაც მოსწავლეს დაეხმარება საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვასა და მონიტორინგში.

ზემოაღნიშნულის გათვალიწინებით ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

წარმოდგენილ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული,პროცედურული, პირობისეული). დაგეგმილი კომპლექსური დავალებების იდეაზე მუშაობა მოიაზრებს ცოდნის სამივე კატეგორიას. მაგალითად, ინგლისური ენის კურიკულუმში (V კლასი) დაგეგმილი კომპლექსური დავალება მიზნად ისახავს პოსტერის შექმნას თემაზე: „ჩემი მომავალი პროფესია“. ამისათვის, მან უნდა გაიაზროს რა არის პოსტერი,დაფიქრდეს რისთვის ქმნის პოსტერს და შექმნას პროდუქტი მოთხოვნის შესაბამისად. ამისთვის მოსწავლეს დასჭირდება ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენება. სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილი მოსწავლეთა ნამუშევრებშიც ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას. ინტერვიუს პროცესში, გამოიკვეთა, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის იგეგმება პრობლემაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელება

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.
დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი, მოსწავლეს საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშიებულად სწავლების საშუალებას აძლევს. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს სხვადასხვა საგნებში ნასწავლი მასალის ინტეგრირება, მაგალითად ხელოვნება - უცხო ენა, ისტ - ისტორია-უცხო ენა. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა გააჟღერეს, რომ იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილების და პროექტის განხორციელება, საგნობრივი საკითხების სიღრმისეულად გააზრების და ცოდნათა უთიერთდაკავშირების მიზნით.
ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- მოსწავლის ნამუშევრები;
- მასწავლებლის ანგარიში.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**

სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლას წარმოდგენილი აქვს დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში გრძელვადიანი მიზნების/სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას შესასწავლ საკითხებზე დაყრდნობით. მაგ. მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს საგნობრივ კურიკულუმებში გამოკვეთილია თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში განსაზღვრულ ძირითად საკითხებთან მიმართებით ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება და გარკვეული სამიზნე ცნებების კომპლექსური დავალებებით დამუშავება. ასევე, იმ შესასწავლ საკითხებთან მიმართებით, რომლებზეც ამ ეტაპზე არ იგეგმება კომპლექსური დავალების განხორციელება, განსაზღვრულია რომელი საკითხი, რომელ სამიზნე ცნებას/ცნებებს დაფარავს.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას**

სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში თითოეული თემის ფარგლებში მოცემული ძირითადი შესასწავლი საკითხები, კომპლექსური დავალებები იძლევა საშუალებას ხელი შევუწყოთ მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეებს ამოიცნონ საკუთარი ემოციები, ღირებულებები, გამოკვეთონ ძლიერი და სუსტი მხარეები, გააცნობიერონ სხვების პოზიცია და გამოხატონ ემპათია (თანაგრძნობა) სხვების მიმართ; დაამყარონ პოზიტიური ურთიერთობები, შეძლონ გუნდური მუშაობა, გაუმკლავდნენ სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს; გააკეთონ ეთიკური, კონსტრუქციული არჩევანი და გაიაზრონ პასუხისმგებლობა მიღებულ გადაწყვეტილებებზე.
ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე**

საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლაში იგეგმება შეფასების სისტემის ორიენტირება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები, რომელიც ეფუძნება კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებულ შეფასების კრიტერიუმებს და ფარავს სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს. შეფასების რუბრიკაში მიმართებით დონეზე ჩამოყალიბებულია მოლოდინები თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში. სკოლა ასევე იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის დონეებს მოსწავლეთათვის განმავითარებელი უკუკავშირის მისაცემად.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშებიდან, რომლის გამოყენებასაც გეგმავს კათედრა 2023-2024 სასწავლო წელს, გამომდინარე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ შეფასების სისტემა იქნება ვალიდური, გამჭვირვალე და ობიექტური; ვინაიდან, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ეყრდნობა სტანდარტში მოცემულ თითოეული თემის ფარგლებში განსაზღვრულ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებით, ხოლო განმავითარებელი შეფასება ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. მსგავსი ტიპის შეფასება რეალისტური საზომია, რაც პრაქტიკაში გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ვუზრუნველყოთ თანაბარი სამართლიანობა ყველა მოსწავლის მიმართ. მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო საზოგადოებას და პირველ რიგში მოსწავლეს ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება ნათლად მიემართება და მიზნობრივად აფასებს სწავლის შედეგებს. ასევე, მნიშვნელოვანია სწორად შერჩეული შეფასების კრიტერიუმები, რომ მოსწავლეს გააზრებული ჰქონდეს რა კრიტერიუმები დააკმაყოფილოს მისმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სასკოლო სასწავლო გეგმაში (2023-2024 სასწ წელი) ვკითხულობთ შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავების, შეფასების მიზნის განსაზღვრის, შეფასების კრიტერიუმების შემუშავების შესახებ. საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები განსაზღვრავს კათედრის ფუნქციებსა და კათედრის ეფექტურობას. აქვე მოცემულია კათედრის ხელმძღვანელისა და კათედრის მონიტორინგის ჩეკლისტი, ეს უკანასკნელი კი გამოიყენება როგორც გარე შეფასებისთვის, დირექციის მიერ, ისე შიდა შეფასებისათვის, კათედრის მიერ; ჩეკლისტი საშუალებას იძლევა სკოლამ გამოიყენოს როგორც საჭიროების დასადგენად, ისე მიმდინარე შეფასებისათვის. საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმებით დასტურდება, რომ სკოლაში შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია და ცნობილია საკოლო საზოგადოებისათვის. შეფასების სისტემის კომპონენტი ობიექტურობის დაცვაა, რაც ხაზგასმით ადასტურებს, რომ შეფასება არის სანდო და ვალიდური. შეფასების სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნები: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, სამართლიანობა და ობიექტურობა გაწერილია სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესში, კერძოდ, მუხლი 2 (მოთხოვნები შეფასების სისტემის მიმართ და სამიზნე პროცესები). ამავე დოკუმენტში (შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი) ასევე გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცედურა (მუხლი 3); შეფასების პროცესის ვერიფიკაცია (მუხლი 4); შეფასების ინსტრუმენტებისა და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია (მუხლი 5) და შეფასების სისტემის ვერიფიკაციისას გამოყენებული სამუშაო ფორმები (მუხლი 6). საგნობრივ ოქმში (საგანი - კომპიუტერული ტექნოლოგიები) ასევე საუბარია სკოლის დონეზე სადიაგნოსტიკო შეფასებაზე, რომ სამომავლოდ იგეგმება სადიაგნოსტიკო კვლევები; რომ დიაგნოსტირება ჩატარდება სასწავლო წლის ბოლოს, რაც დასტურდება მასწავლებელთან ინტირვიუებითაც. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ მათ აქვთ მომავლის ხედვა, როგორ მოახდინონ დაგეგმილი აქტივობების/მიღწევების შედეგების ანალიზი. მასწავლებლები აქცენტს აკეთებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზზე, რაც დასტურდება მასწავლებლების პორტფოლიოთი (შემაჯამებელი დავალებების ანალიზი).

ექსპერტთა ჯგუფმა, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი შეაფასდა შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა არანაკლებ სამი წლის ვადით; კერძოდ, სასკოლო ჟურნალი, რომელიც წარმოადგენდა სკოლის ოფიციალურ დოკუმენტს (2021-2022 სასწ წლამდე), ინახება სკოლაში, მესამე პირთაგან დაცულ ადგილას 5 წლის განმავლობაში; მოსწავლეთა პირადი საქმეები, სკოლაში ინახება 75 წლის განმავლობაში; მასში შეტანილი წლიური შეფასებები, ცნობები, ექსტერნზე ინფორმაცია და ასე შემდეგ პირადი საქმის შენახვის ვადით ინახება. სკოლა უზრუნველყოფს ასევე ნიშნების წიგნის შენახვას. მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების, პროექტებისა და სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალების შენახა ხდება სკოლის არქივში. სკოლა იყენებს შეფასების ელექტრონულ სისტემას (ელექტრონული ჟურნალი), რაც მონაცემების შენახვის საშუალებას იძლევა, გრძელვადიანი პერსპექტივით. რაც შეეხება შემაჯამებელ სამუშაოებს, შემაჯამებელი სამუშაოებს ანალიზის ფორმებს, დაკვირვების ფურცლებს, „ჩეკლისტებს“, მასწავლებლები/კათედრა ინახავენ სასწავლო წლის მანძილზე; თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შემაჯამებელი სამუშაოები და შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი, მათი ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ კათედრაზე ინახება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში, შემდეგ კი - სკოლის არქივში.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- *სასკოლო სასწავლო გეგმა (2022-2023);*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა (2023-2024);*
- *სკოლის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების ვერიფიკაციის წესი;*
- *საგნობრივი კათერდების სამოქმედო გეგმები;*
- *საგნობრივი კათერდების ოქმები;*
- *განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;*
- *განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *შეფასების რუბრიკების გაზიარება;*
- *შემაჯამებელი დავალებების ანალიზები;*
- *სკოლის არქივი;*
- *თვითშეფასება .*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

თვითშფასების კითხვარსა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო. დირექტორი თავად არის მოდელი, მხარდამჭერი და პრობლემის მოგვარებაზე ურთიერთობის, ის ღიაა სასკოლო საზოგადოების ყველა ინიციატივის მიმართ. პედაგოგები მუშაობენ სხვადასხვა ეროვნების, რწმენის, ტრადიციების მოსწავლეებთან, ასევე სსსმ სტატუსის მქონე და მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელებთან და ამ მრავალფეროვნებას ისინი იყენებენ, როგორც რესურსს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისთვის.
საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემული კომპლექსური დავალების იდეები მაგ: კონფერენცია, ფესტივალი და აშ. აჩვენებს სასწავლო პროცესში მხარდამჭერი გარემოს არსებობაზე. მასწავლებლები სხავადასხვა საგანში იყენებენ დიფერენცირებული მიდგომებს, მრავალფეროვან სწავლების სტრატეგიებს, სასწავლო საშუალებებსა და რესურსებს, მათ შორის – ელექტრონულ რესურსებს.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

თვითშეფასების კითხვარსა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებულად. სსსმ მოსწავლეებისთვის შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. პედაგოგები სასწავლო პროცესში იყენებენ ეფექტურ სტრატეგიებს, რომლებიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს მაქსიმალურად წარმოაჩინონ მათი უნარები და შესაძლებლობები. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები და შერჩეული კომპლექსური დავალებები აჩვენებს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობაზე მორგებულ სასწავლო გარემოს არსებობას. როგორც ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, კურიკულუმების შექმნისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეების ინდივიდუალურ თავისებურებებს.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ხდება კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, სხვადასხვა საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობა და აქტიური კომუნიკაცია. სკოლის პრაქტიკაში დანერგილია ,,კრიტიკული მეგობარის" ინსტიტუტი. ურთიერთდასწრებისას პედაგოგები ერთმანეთს თანამშრომლობაზე დაფუძნებით უზიარებენ გამოცდილებასა და რჩევებს. მასწავლებლები თანამშრომლობენ მოსწავლეებთან, სკოლის ადმინისტრაციასა და მშობლებთან მოსწავლეებისთვის საუკეთესო სასწავლო გარემოს შექმნისთვის.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, იკვეთება თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოებას შორის. სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლეები, რომელთათვისაც იქმნება ინდივიდუალური გეგმები. მოწავლეები მონაწილეობენ სხვადასხვა შეჯიბრებებში. მოსწავლეებს, მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ ობიექტურ კრიტერიუმებს.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- რესურსი 5 - კურიკულუმის ჩარჩო კლასების მიხედვით;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის მეთოდოლოგიის ჩარჩო/გეგმა, სადაც სკოლა აღნიშნავს, რომ კურიკულუმი შედგენილია სკოლის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ამავე დოკუმენტში განსაზღვრულია კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებაში ჩართული სასკოლო საზოგადოება (მასწავლებელი, საგნობრივი კათედრები, დირექცია). ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტში სკოლას აქვს წარმოდგენილი მკაფიო ხედვა, სადაც მონიტორინგს და შეფასებას განიხილავს სასწავლო პროცესის თანმდევ მექანიზმად. დეტალურად აქვს გაწერილი შიდა და გარე შეფასების ინსტრუმენტები, ხოლო მუხლი 4. -ში წარმოდგენილია სასწავლო პროცესის შეფასების ინდიკატორები და მონაცემების შეგროვების გზები.

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაწყებით საფეხურზე შეაფასა შესაბამისად

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლის მიერ წარმოდგენილო დოკუმენტაციაში (გაკვეთილზე დასწრების რეფლექსიები, საგნობრივი კათედრების ოქმები, დასწრების აღრიცხვის ჟურნალი, კლასის ხელმძღვანელის ანგარიში) ნათლად ჩანს, რომ სკოლაში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რომელიც ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და წახალისებაზე. აღნიშნულს ადასტურებს ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინიციატივების წახალისების მიზნით მექანიზმი-ბრძანება. 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია კათედრების სამოქმედო გეგმა, სადაც გამოკვეთილია მონიტორინგსა და შეფასებაზე ორიენტირებული აქტივობები. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში სკოლა აღნიშნავს, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მასწავლებელთა თვითრეფლექსიის შედეგები, მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირი.

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაწყებით საფეხურზე ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმი პროექტში თვითშეფასების საფუძველზე სკოლას წარმოდგენილი აქვს გასავითარებელი მიმართულებები მაგ. დამრიგებლის ინსტიტუტის გაძლიერება, მასწავლებელთა პროფესიული შრომის კულტურა. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტში სკოლას აქვს მკაფიო ხედვა გამოკვეთილი პრობლემების შესაბამისად თუ რა ნაბიჯები უნდა

გადადგას განვითარებისთვის, როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვის ისე მატერიალური რესურსების და ადამიანური რესურსების კუთხით. თვითშეფასების დოკუმენტში სკოლა აღნიშნავს, რომ მომავალი წლის სამოქმედო გეგმაში აისახება მონიტორინგის და შეფასების *ვალიდური* რუბრიკები შეფასების ინსტრუმენტებით.

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაწყებით საფეხურზე ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გაკვეთილზე დასწრების რეფლექსიები;
- კლასის ხელმძღვანელის ანგარიში;
- დასწრების აღრიცხვის ჟურნალი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- თვითშეფასება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

გასაუბრებისას აღნიშნეს პედაგოგებმა და წარმოდგენილი მასალიდანაც იკვეთება, რომ იყენებენ ჰოლისტური შეფასების მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში, სადაც მოსწავლეების ემოციურ-სოციალურ-კოგნიტურ უნარების შეფასება წარმოჩინდება საგანთა და თემებს შორის კავშირებით, პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

თვითშეფასების კითხვარიდან იკვეთება, რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით: მოსწავლის დასწრების ფაქტორი, თემის ათვისების მაჩვენებელი. მოსწავლეზე დაკვირვება ხდება სხვადასხვა კუთხით, შეფასების მიზნიდან განისაზღვრება ის კონტექსტები და ფოკუსები, რაც სჭირდებათ მოცემულ კონტექსტში. სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მასწავლებლის მიერ იგეგმება ინდივიდუალური შეხვედრები მოსწავლეებთან, ხდება გაცდენილი გაკვეთილების მასალის გაანალიზება, დაბალი აკადემიური მზაობის მოსწავლეებთან სასწავლო პროცესში გამოვლენილი სიძნელეების დაძლევა.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

წარმოდგენილი მასალებიდან და ასევე გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა შეფასებისას გამოიყენონ მონაცემების შეგორვების სხვადასხვა მეთოდები. მონაცემთა შესაგროვებლად იყენებენ ზეპირ კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოებასთან, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამსახველ სტატისტიკურ მონაცემებს, დამრიგებლის შეფასებას. მომდევნო ეტაპისთვის გეგმავენ მონაცემთა შეგროვებას მასწავლებელთა კომპეტენციის ასამაღლებლად.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

წარმოდგენილი მასალებიდან და გასაუბრების ანალიზიდან იკვეთება, რომ დაწყებით საფეხურზე პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლის მიმართ მულტიფაქტორულ მიდგომებს, რომელიც დიდ გავლენას ახდენს შედეგზე, მოსწავლის თვითშეფასებაზე და ავტონომიურობაზე. მიკროსისტემიდან მეზოსისტემაში გადასული მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად იყენებენ მამოტივირებელ შეფასებას, მშობლებთან წერილობით და ზეპირ უკუკავშირს მოსწავლის წარმატებასთან დაკავშირებით, ჯილდოებს, სიგელებს და სკოლის გვერდს.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების რუბრიკები;
- თვითშეფასება;
- გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

სასკოლო სასწავლო გეგმის ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტებში სკოლას მოცემული აქვს სასკოლო საზოგადოების კოორდინირებული მუშაობის ხედვა, სადაც ნათლადაა წარმოდგენილი, რომ სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ორიენტირებულია კურიკულუმის განვითარებასა და მხარდაჭერაზე. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში სკოლა აღნიშნავს „კათედრის დონეზე ხდება განხორციელებული კურიკულუმის ანალიზი, რის საფუძველზეც იგეგმება ახალი კურიკულუმი“. ინტერვიუთი დადგინდა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის მასწავლებლები/კათედრები მიღებული გამოცდილების საფუძველზე, კურიკულუმებსა და სამოქმედო გეგმაში ასახავენ განვითარებისა და მხარდაჭერის რეკომენდაციებს.

ექსპერტთა ჯგუფმა, დაწყებით საფეხურზე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში სკოლა აღნიშნავს, რომ კურიკულუმის შემუშავება განხორციელდა წინარე გამოცდილებით ასევე, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებებზე დაყრდნობით. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ 2023-2024 წლის საგნობრივი კურიკულუმები შედგენილია სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და

შეფასების შედეგად (მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტულ მაგალითებსა და ამ მაგალითების საფუძველზე განხორციელებულ ცვლილებებზე).

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაწყებით საფეხურზე ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

5. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
6. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

7. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
8. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, მოწოდებული დოკუმენტაცია - ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოები და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგები იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში ურთიერთთანამშრომლობენ, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს, მსჯელობენ მათთვის საინტერესო საკითხებზე და მიდიან კონსესუსამდე. შეხვედრებზე მასწავლებლებს შორის მიმდინარეობს მსჯელობა კლასებისა და მოსწავლეთა სუსტ და ძლიერ მხარეებზე. შესაბამისად, კურიკულუმების შედგენის დროს იგეგმება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, კომპლექსური დავალების აქტივობების დიფერენცირება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები. მშობლისა და მოსწავლის ინტერესები დადგენილ იქნა გამოკითხვის მეთოდით. მათი უკუკავშირების საფუძველზე დაიგეგმა რიგი აქტივობები. განხორციელდა კურიკულუმის მეთოდიკის შემუშავება. სამომავლოდ სკოლა გეგმავს შეიმუშაოს სასკოლო კურიკულუმების შევსების მეთოდოლოგია და დებულება.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

2. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები; კურიკულუმებში ასახულია სასკოლო თემის ინტერესები, მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები, რაც დადგინდა მათი გამოკითხვის საშუალებით. დაიგეგმა ახალი სასწავლო წლიდან ყველა კლასში კომპლექსური დავალებების განხორციელება, რისთვისაც პედაგოგები მოიძიებენ და მოამზადებენ მოსწავლეებისთვის საინტერესო კონტექსტ-მაგალითებს. შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების მოთხოვნების შესაბამისად, საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია შესაბამისი საგნის ქოუჩებთან მასწავლებლების ურთიერთთანამშრომლობით. მასში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, საჭიროებები, შეხედულებები,

შესაძლებლობები და პრიორიტეტები. ასევე კათედრები მომავალ სასწავლო წელს გეგმავს სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან და მეტად აქტიურად ჩართვას კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში კათედრა გაეცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მოწოდებულ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ კურიკულუმის ჩარჩოს. აღნიშნული კურიკულუმის ჩარჩო განხილული იქნა კათედრაზე, რომლის მიხედვითაც შემუშავდა საგნობრივი კურიკულუმები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- მშობელთა კრების ოქმები;
- სასკოლო-სასწავლო მიზნები;
- კურიკულუმები;
- მასწავლებელთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

6. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
7. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

8. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
9. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
10. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

4. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

საბაზო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ მომზადებული კურიკულუმები, მე-7, მე-8 და მე-9 კლასებში, ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის საბაზო საფეხურის ყველა კლასში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც, მეშვიდე, მერვე და მეცხრე კლასების კურიკულუმში არსებული უმნიშვნელო ხარვეზები (კონტექსტმაგალითებისა და რესურსების სიმცირე) საკმაოდ მცირე დროში გამოასწორეს და წარმოადგინეს განახლებული ვერსიის სახით.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

5. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

საბაზო საფეხურის მე-7, მე-8 და მე-9 კლასების კურიკულუმის შესწავლისა და გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს,მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, თითოეული თემის ფარგლებში შემოთვაზებულია ორიგინალური დავალებები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს, გარდა ამისა, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში შემოთავაზებული კომპლექსური ბუნების დავალებების იდეების ნიმუშები, თემები ითვალისწინებს გლობალურ ფუნქციურ უნარებს, როგორებიცაა: შემოქმედებითობა, კომუნიკაცია , თანამშრომლობა. ხორციელდება პროექტები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს კურიკულუმების შემუშავებას და გამოიყენება მომავალში მათ დასახვეწად. მაგალითად, მე-8 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეა ჩანახატის შექმნა შესწავლილი ლექსების მიხედვით, მე-9 კლასში კი ერთი კომპლექსური დავალების ფარგლებში , კოლაუ ნადირაძის ლექსის მიხედვით პრეზენტაციის მომზდება , (ერთი კომპლექსური დავალების ფარგლებში იფარება საბაზო საფეხურის ექვსივე სამიზნე ცნება) ხელს უწყობს გლობალური ფუნქციური უნარების, როგორც პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლების, განვითარებას. თვითშეფასების ფორმაში წერია: ,,საგნობრივი კურიკულუმების მთავარი ფოკუსი სამიზნე ცნებებია, სასწავლო პროცესში მუშაობა სწორედ მათ მიემართება და კურიკულუმში მკაფიოდ იკვეთება ეს ორიენტირებულობა, სასწავლო მასალა, ფაქტობრივი

ინფორმაცია და თემა განიხილება როგორც ის კონტექსტი, რომელიც ეხმარება მოსწავლეს სიღრმისეულად გაიაზროს იდეა, რომელსაც სასწავლო მასალა ატარებს. მიღწეული მიგნებების განზოგადებისათვის კი მნიშვნელოვანია კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად და მიზნობრივად იყენებს ახალ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს''. გარდა ამისა, საბაზო საფეხურზე ხორციელდება პროექტები, სხვადასხვა სახის ღონისძიება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. მაგალითად, მტკიცებულების სახით წარმოდგენილია, გრძელვადიანი სასკოლო პროექტიები, სათაურით: „ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში'', რომლის სამიზნე ჯგუფი იყო საბაზო და საშულო საფეხურის მოსწვლეები. ინტერვიუების დროსაც აღინიშნა, რომ მოსწავლეებში ემპათიის, მზრუნველობის, პასუხისმგებლობის გრძნობის გასაღვივებლად საბაზო საფეხურზე ხორციელდება სხვადასხვა პროექტი.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

6. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით სკოლა გეგმავს აქტივობებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას. სკოლას აქვს კარგი გამოცდილება უცხოენოვანი გარემოდან მოსული მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებისა და სასწავლო პროცესის მათზე მორგებისა, მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბავშვებთან დიფერენცირებული მიდგომის, თუმცა აქვე აღნიშნავენ, რომ ამ მიმართულებით სკოლასა და პედაგოგებს კიდევ უფრო მეტი მუშაობა მართებთ. გარდა ამისა, ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და მოსწავლის პირველადი მართვა, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

სკოლამ წარმოადგინა ქოუჩინგის ფარგლებში შექმნილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა,სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალის გაცნობისას იკვეთება, რომ კათედრა ძირითადად იყენებს პედაგოგთა მიერ შექმნილ რუბრიკებს. შემუშავებულია სხვადასხვა აქტივობის (დისკუსიის, პრეზენტაციის, ინფორმაციის მოძიების , პროექტის, სხვადასხვა ესეს წერის და ა.შ.) ზოგადი შეფასების სქემები.
სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შექმნილია სტანდარტის შედეგების გათვალისწინებით და აფასებს ერთ თემას. კათედრების მიერ 2023-2024 სასწავლო წლისთვის იგეგმება კურიკულუმებში წარმოდგენილი თემებისთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა, რომლებიც გრძელვადიან მიზნებზე იქნება ორიენტირებული, შუალედური მიზნების საშუალებით - ყოველივე ეს ნათლად გამოიკვეთა ინტერვიუს დროს, კომპლექსური დავალებების მიმდინარეობისას და დასკვნით ეტაპებზე მოსწავლის განმავითარებელი შეფასება მოხდება როგორც მასწავლებლის მხრიდან, ასევე მოსწავლეთა თვით და

ურთიერთშეფასების გზით. სკოლა საბაზო საფეხურზე ახორციელებს შეფასებას სამ კომპონენტიანი სისტემით. შეფასებისთვის იყენებენ გამსაზღვრელი-ანალიტიკური და ჰოლისტური შეფასების რუბრიკებს. განმავითარებელი შეფასების მიცემისას მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლეს დაანახონ მისი განვითარების მიმართულება, ხელი შეუწყონ მოსწავლის მეტაგოგნიტური უნარების განვითარებას, გააზრებინონ საკუთარი სწავლის პროცესი.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ჩანს, რომ კათედრები საბაზო საფეხურზე ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. შესაბამისად, კათედრების სხდომებზე ხდება გამოვლენილი ხარვეზების ანალიზი, გადაჭრის გზების დასახვა, წარმატებული გამოცდილების გაზიარება და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადამუშავებული საგნობრივი კურიკულუმების შედგენა.
მასწავლებლებს აქვთ კურიკულუმის შექმნის გამოცდილება, წინა წლებში შექმნილმა სასწავლო გეგმებმა გაუადვილა მათ კურიკულუმის კომპონენტებში გარკვევა, თემატურ-სტრუქტურული ერთეულების გამოკვეთა. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები მოწმობს, რომ საბაზო საფეხურის კურიკულუმების შემუშავებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს. კათედრების წევრები რეგულარულად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აკეთებენ რეფლექსიას, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს. მიღებული ინფორმაციისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება კურიკულუმის გადამუშავება, დახვეწა და განვითარება. წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე დასტურდება სტანდარტებთან შესაბამისობა.
ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სსიპ- ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის #6 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- კათედრების ანგარიში;
- შეფასების რუბრიკები;
- მატრიცები;
- კომპლექსური ბუნების დავალებები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

6. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
7. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
8. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
9. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
10. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას**

წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი საკითხების შესწავლის პროცესი უკავშირდება ფიქრის, ძიების, მსჯელობების, აღმოჩენების/მიგნებებისა და შექმნის პროცესებს. დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. კომპლექსური დავალების იდეები ისეა ფორმულირებული, რომ მოიაზრებს შემოქმედებითი უნარების გააქტიურებას. თვითშეფასების განაცხადის მიხედვით, საგაკვეთილო პროცესის პარალელურად, მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობით. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი წრეები, ასევე, ხორციელდება სასწავლო და კლასგარეშე პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. გეგმავენ არაფორმალური განათლების ხელშეწყობის გაძლიერებას, პოზიტიური სასკოლო კლიმატის და მოსწავლის ინიციატივების წახალისებას.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით**

საბაზო საფუხურის კურიკულუმები აგებულია წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ მოსწავლეს აქვს წინარე ცოდნაზე ახალი ცოდნის დაშენების შესაძლებლობა. კურიკულუმში დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებები მოსწავლეს სთავაზობს ნაცნობ კონტექსტს, რომელიც დაეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. კომპლექსური დავალების პირობები, ხშირად ისეა ფორმულიებული, რომ მაგ. მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი (პრეზენტაცია, ბლოგი, პოსტერი). წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ ხორციელდება პროექტები არაფორმალური

განათლების მიმართულებით, მაგ. „ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში“(საბაზო და საშუალო საფეხურზე), „ჯანსაღი კვება“ მე-7 კლასი, “მწვანე სიცოცხლე“. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ მომდევნო წელსაც გეგმავენ არაფორმალური განათლების კუთხით მრავალფეროვანი, ინტეგრირებული აქტივობების განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სწავლის პროცესი ხელს უწყობს მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლის მართვის გაცნობიერებას (გონებრივი და ემოციური), ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობაში მოქცევას, საკუთარი სასწავლო საქმიანობის დაგეგმვას, ორგანიზებას, მონიტორინგს და რეფლექსიას. კურიკულუმით დაგეგმილი საკითხების შესწავლა, კომპლექსური დავალების იდეების განხორციელება მოიაზრებს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. წარმოდგენილია მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკებიც, რაც მოსწავლეს დაეხმარება საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვასა და მონიტორინგში.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)**

ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირება იკვეთება საგნობრივ კურიკულუმებში, მოცემული კომპლექსური დავალების იდეები მოიაზრებს სასწავლო პროცესში როგორც პირობისეულ, ასევე დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე მუშაობასაც. დავალებები, მაგ. მე-8 კლასში მოცემული კომპლექსური დავალების იდეა (ბულინგის საწინააღმდეგო პოსტერის შექმნა-უცხო ენა) გულისხმობს პოსტერის შექმნას ბულინგის შესახებ. ამისათვის მოსწავლემ უნდა გაიაზროს, რა არის პოსტერი, მოიძიოს რესურსები, შეძლოს პრობლემის გამომწვევი მიზეზების დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის მოძებნა. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება მოსწავლეთა მიერ შესრულებულ კომპლექსურ დავალებებში, სასწავლო პროექტებში და არაფორმალურ აქტივობებში.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება**

საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას უწყობს ხელს. შესასწავლი საკითხები /დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ მოსწავლეს უწევს გაიაზროს გამოცდილებასთან ახლოს მდგომი ნაცნობი პრობლემები, რომელთა მოგვარება მოითხოვს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთდაკავშირებას. ინტერვიუს დროს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ახდენენ საგანთა ინტეგრირებას სასწავლო პროცესში, რაც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას აძლევთ. სკოლის დოკუმენტაციიდან ასევე დასტურდება, რომ სკოლა ახორციელებს ინტეგრირებულ პროექტებს.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- მოსწავლის ნამუშევრები ;
- მასწავლებლის ანგარიში.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს

7. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
8. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
9. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
10. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
11. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
12. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

7. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით

სკოლას წარმოდგენილი აქვს საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას შესასწავლ საკითხებზე დაყრდნობით. საგნობრივ კურიკულუმში სასწავლო პროცესი დიდწილად დაგეგმილია სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია ძირითადი სავალდებულო თემები, გამოკვეთილია ძირითადი შესასწავლი საკითხები და დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა კომპლექსური დავალებებით.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

8. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში თითოეული თემის ფარგლებში მოცემული ძირითადი შესასწავლი საკითხები, კომპლექსური დავალებები იძლევა საშუალებას ხელი შევუწყოთ მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეებს გამოკვეთონ ძლიერი და სუსტი მხარეები, გააცნობიერონ სხვების პოზიცია და გამოხატონ ემპათია (თანაგრძნობა) სხვების მიმართ; დაამყარონ პოზიტიური ურთიერთობები, შეძლონ გუნდური მუშაობა, გაუმკლავდნენ სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს; გააკეთონ ეთიკური, კონსტრუქციული არჩევანი და გაიაზრონ პასუხისმგებლობა მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

9. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლაში შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები, რომელიც ეფუძნება კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებულ შეფასების კრიტერიუმებს და ფარავს სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს. შეფასების რუბრიკაში მიმართებით დონეზე ჩამოყალიბებულია მოლოდინები თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში. სკოლა ასევე იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის დონეებს მოსწავლეთათვის განმავითარებელი უკუკავშირის მისაცემად.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშებიდან, რომლის გამოყენებასაც გეგმავს კათედრა 2023-2024 სასწავლო წელს, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ შეფასების სისტემა იქნება ვალიდური, გამჭვირვალე და ობიექტური; ვინაიდან, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ეყრდნობა სტანდარტში მოცემულ თითოეული თემის ფარგლებში განსაზღვრულ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებით, ხოლო განმავითარებელი შეფასება ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. მსგავსი ტიპის შეფასება რეალისტური საზომია, რაც პრაქტიკაში გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ვუზრუნველყოთ თანაბარი სამართლიანობა ყველა მოსწავლის მიმართ. მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო საზოგადოებას და პირველ რიგში მოსწავლეს ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება ნათლად მიემართება და მიზნობრივად აფასებს სწავლის შედეგებს. ასევე, მნიშვნელოვანია სწორად შერჩეული შეფასების კრიტერიუმები, რომ მოსწავლეს გააზრებული ჰქონდეს რა კრიტერიუმები დააკმაყოფილოს მისმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სასკოლო სასწავლო გეგმაში (2023-2024 სასწ წელი) ვკითხულობთ შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავების, შეფასების მიზნის განსაზღვრის, შეფასების კრიტერიუმების შემუშავების შესახებ. საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები განსაზღვრავს კათედრის ფუნქციებსა და კათედრის ეფექტურობას. აქვე მოცემულია კათედრის ხელმძღვანელისა და კათედრის მონიტორინგის ჩეკლისტი, ეს უკანასკნელი კი გამოიყენება როგორც გარე შეფასებისთვის, დირექციის მიერ, ისე შიდა შეფასებისათვის, კათედრის მიერ; ჩეკლისტი საშუალებას იძლევა სკოლამ გამოიყენოს როგორც საჭიროების დასადგენად, ისე მიმდინარე შეფასებისათვის. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული კათედრის შეხვედრების თემატიკა გათვალისწინებულია საგნობრივი კათედრების სამოქმედო გეგმებშიც. საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმებით დასტურდება, რომ სკოლაში შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია და ცნობილია საკოლო საზოგადოებისათვის. შეფასების სისტემის კომპონენტი ობიექტურობის დაცვაა, რაც ხაზგასმით ადასტურებს, რომ შეფასება არის სანდო და ვალიდური. შეფასების სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნები: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, სამართლიანობა და ობიექტურობა გაწერილის სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესში, კერძოდ, მუხლი 2 (მოთხოვნები შეფასების სისტემის მიმართ და სამიზნე პროცესები). ამავე დოკუმენტში (შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი) ასევე გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცედურა (მუხლი 3); შეფასების პროცესის ვერიფიკაცია (მუხლი 4); შეფასების ინსტრუმენტებისა და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია (მუხლი 5) და შეფასების სისტემის ვერიფიკაციისას გამოყენებული სამუშაო ფორმები (მუხლი 6). საგნობრივ ოქმში (საგანი - კომპიუტერული ტექნოლოგეიბეი) ასევე საუბარია სკოლის დონეზე სადიაგნოსტიკო შეფასებაზე, რომ სამომავლოდ იგეგმება სადიაგნოსტიკო კვლევები; რომ დიაგნოსტირება ჩატარდება სასწავლო წლის ბოლოს, რაც დასტურდება მასწავლებელთან ინტირვიუებითაც. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ მათ აქვთ მომავლის ხედვა, როგორ მოახდინონ დაგეგმილი აქტივობების/მიღწევების შედეგების ანალიზი. მასწავლებლები აქცენტს აკეთებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზზე, რაც დასტურდება მასწავლებლების პორტფოლიოთი (შემაჯამებელი დავალებების ანალიზი).

ექსპერტთა ჯგუფმა, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა არანაკლებ სამი წლის ვადით; კერძოდ, სასკოლო ჟურნალი, რომელიც წარმოადგენდა სკოლის ოფიციალურ დოკუმენტს (2021-2022 სასწ წლამდე), ინახება სკოლაში, მესამე პირთაგან დაცულ ადგილას 5 წლის განმავლობაში; მოსწავლეთა პირადი საქმეები, სკოლაში ინახება 75 წლის განმავლობაში; მასში შეტანილი წლიური შეფასებები, ცნობები, ექსტერნზე ინფორმაცია და ასე შემდეგ პირადი საქმის შენახვის ვადით ინახება. სკოლა უზრუნველყოფს ასევე ნიშნების წიგნის შენახვას. მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების, პროექტებისა და სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალების შენახა ხდება სკოლის არქივში. სკოლა იყენებს შეფასების ელექტრონულ სისტემას (ელექტრონული ჟურნალი), რაც მონაცემების შენახვის საშუალებას იძლევა, გრძელვადიანი პერსპექტივით. რაც შეეხება

შემაჯამებელ სამუშაოებს, შემაჯამებელი სამუშაოებს ანალიზის ფორმებს, დაკვირვების ფურცლებს, „ჩეკლისტებს“, მასწავლებლები/კათედრა ინახავენ სასწავლო წლის მანძილზე; თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შემაჯამებელი სამუშაოები და შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი, მათი ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ კათედრაზე ინახება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში, შემდეგ კი - სკოლის არქივში.

ექსპერტთა ჯგუფმა, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- სასკოლო სასწავლო გეგმა (2022-2023);
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი (2023-2024);
- სკოლის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების ვერიფიკაციის წესი;
- საგნობრივი კათერდების სამოქმედო გეგმები;
- საგნობრივი კათედრების ოქმები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

თვითშფასების კითხვარსა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო. დირექტორი თავად არის მოდელი, მხარდამჭერი და პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული. ის ღიაა სასკოლო საზოგადოების ყველა ინიციატივის მიმართ. პედაგოგები მუშაობენ სხვადასხვა ეროვნების, რწმენის, ტრადიციების მოსწავლეებთან, ასევე სსსმ სტატუსის მქონე და მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელებთან და ამ მრავალფეროვნებას ისინი იყენებენ, როგორც რესურსს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისთვის.
საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემული კომპლექსური დავალების იდეები მაგ: კონფერენცია, ფესტივალი და აშ. აჩვენებს სასწავლო პროცესში მხარდამჭერი გარემოს არსებობაზე. მასწავლებლები სხავადასხვა საგანში იყენებენ დიფერენცირებული მიდგომებს, მრავალფეროვან სწავლების სტრატეგიებს, სასწავლო საშუალებებსა და რესურსებს, მათ შორის – ელექტრონულ რესურსებს.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებულად. სსსმ მოსწავლეებისთვის შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. პედაგოგები სასწავლო პროცესში იყენებენ ეფექტურ სტრატეგიებს, რომლებიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს მაქსიმალურად წარმოაჩინონ მათი უნარები და შესაძლებლობები.
წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები და შერჩეული კომპლექსური დავალებები აჩვენებს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობაზე მორგებულ სასწავლო გარემოს არსებობას. როგორც ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, კურიკულუმების შექმნისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეების ინდივიდუალურ თავისებურებებს.
ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ხდება კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, სხვადასხვა საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობა და აქტიური კომუნიკაცია. სკოლის პრაქტიკაში დანერგილია ,,კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტი. ურთიერთდასწრებისას პედაგოგები ერთმანეთს თანამშრომლობაზე დაფუძნებით უზიარებენ გამოცდილებასა და რჩევებს. მასწავლებლები თანამშრომლობენ მოსწავლეებთან, სკოლის ადმინისტრაციასა და მშობლებთან მოსწავლეებისთვის საუკეთესო სასწავლო გარემოს შექმნისთვის.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

თვითშეფასების კითხვარზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, იკვეთება თანამშრომლობით კავშირები სასკოლო საზოგადოებას შორის. სკოლას ყავს სსსმ მოსწავლეები, რომელთათვისაც იქმნება ინდივიდუალური გეგმები. მონაწილეობენ სხვადასხვა შეჯიბრებებში. მოსწავლეებს, მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ ობიექტურ კრიტერიუმებს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩოები საგნებისა და კლასების მიხედვით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

4. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
5. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
6. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის მეთოდოლოგიის ჩარჩო/გეგმა, სადაც სკოლა აღნიშნავს, რომ კურიკულუმი შედგენილია სკოლის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ამავე დოკუმენტში განსაზღვრულია კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებაში ჩართული სასკოლო საზოგადოება (მასწავლებელი, საგნობრივი კათედრები, დირექცია). ხარისხის

უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტში სკოლას აქვს წარმოდგენილი მკაფიო ხედვა, სადაც მონიტორინგს და შეფასებას განიხილავს სასწავლო პროცესის თანმდევ მექანიზმად. დეტალურად არის გაწერილი შიდა და გარე შეფასების ინსტრუმენტები, ხოლო მუხლი 4. -ში წარმოდგენილია სასწავლო პროცესის შეფასების ინდიკატორები და მონაცემების შეგროვების გზები.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

4. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლის მიერ წარმოდგენილო დოკუმენტაციაში (გაკვეთილზე დასწრების რეფლექსიები, საგნობრივი კათედრების ოქმები, დასწრების აღრიცხვის ჟურნალი, კლასის ხელმძღვანელის ანგარიში) ნათლად ჩანს, რომ სკოლაში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რომელიც ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და წახალისებაზე. აღნიშნულს ადასტურებს ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინიციატივების წახალისების მიზნით ექმნილი მექანიზმი-ბრძანება. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია კათედრების სამოქმედო გეგმა, სადაც გამოკვეთილია მონიტორინგსა და შეფასებაზე ორიენტირებული აქტივობები. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში სკოლა აღნიშნავს, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მასწავლებელთა თვითრეფლექსიის შედეგები, მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირი.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში თვითშეფასების საფუძველზე სკოლას წარმოდგენილი აქვს გასავითარებელი მიმართულებები მაგ. დამრიგებლის ინსტიტუტის გაძლიერება, მასწავლებელთა პროფესიული შრომის კულტურა. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტში სკოლას აქვს მკაფიო ხედვა გამოკვეთილი პრობლემების შესაბამისად თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგას განვითარებისთვის, როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვის ისე მატერიალური რესურსების და ადამიანური რესურსების კუთხით. თვითშეფასების დოკუმენტში სკოლა აღნიშნავს, რომ მომავალი წლის სამოქმედო გეგმაში აისახება მონიტორინგის და შეფასების ვალიდური რუბრიკები შეფასების ინსტრუმენტებით.
ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გაკვეთილზე დასწრების რეფლექსიები;
- კლასის ხელმძღვანელის ანგარიში;
- დასწრების აღრიცხვის ჟურნალი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

5. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
6. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
7. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
8. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

მასწავლებლებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ სკოლაში მოსწავლის და პროცესის შეფასების სისტემა ჰოლისტური ხასიათისაა, ეყრდნობა მრავალფეროვან ინსტრუმენტებს: ჩართულია მშობელი, აქტუალურია მოსწავლეების ურთიერთშეფასება, რითიც იღრმავებენ ცოდნას და იძენენ გამოცდილებას. სკოლას აქვს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, კომპლექსურ დავალებებს კი აფასებენ სოლო ტაქსონომიით - ზეპირი უკუკავშირის ფორმით აძლევენ განმავითარებელ შეფასებებს. შეფასების სისტემაში იცავენ ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობის/სამართლიანობის პრინციპებს.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

ინტერვიუდან გგამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ფიზიკური, კოგნიტური და ფსიქო-ემოციური განვითარების ხელშესაწყობად, მასწავლებლები ცდილობენ შეისწავლონ მოსწავლეები სხვადასხვა კონტექსტში: გაითვალისწინონ მოსწავლეთა სოციალურ - ემოციური ფონი, განსაზღვრონ მოსწავლეთა წინარე ცოდნა / გამოცდილება, ინტერესები, კოგნიტური / ფიზიკური უნარები და ამის შესაბამისად მოახდინონ მოსწავლეთა სწავლის პროცესის დაგეგმვა-შეფასება.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას იყენებენ მათ მიერ დაკვირვების შედეგად მიღებულ ინფორმაციას - საკლასო აქტიურობა, საშინაო დავალებები, შემაჯამებელი დავალებები, ასევე დამრიგებლისგანაც იღებენ ინფორმაციას - შესაძლოა მასწავლებლისთვის მკაფიო არ იყოს მოსწავლის არასაგაკვეთილო პერიოდის უნარ-ჩვევები, ამ ინფორმაციას კი მასწავლებელი იყენებენ სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვისას, მათ შორის კონტექსტ მაგალითების შეთავაზება, კომპლექსური დავალებების განხორციელება, პროექტების დაგეგმვა. შესაძლოა სხვა ინსტრუმენტების გამოყენებაც, რომლის შესახებაც მოიძიებენ ინფორმაციას.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის შეფასებისას ითვალისწინებენ ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა აკადემიური უნარები, აზროვნებისა და დასაბუთების უნარ-ჩვევები და კომუნიკაციის ზოგადი უნარ-ჩვევები. შეფასების ამ ფაქტორებს იყენებენ მოსწავლისათვის სასწავლო მასალისა და რესურსების ადაპტირებისას. მუშაობენ სპეციალური საჭიროებების მოსწავლეებთან, სადაც ყურადღება ექცევა მოსწავლის განვითარების დონეს, სპეციალურ საჭიროებებს.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების რუბრიკები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

3. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
4. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

სასკოლო სასწავლო გეგმის ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტებში სკოლას მოცემული აქვს სასკოლო საზოგადოების კოორდინირებული მუშაობის ხედვა, სადაც ნათლადაა წარმოდგენილი სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასება.სკოლა ორიენტირებულია კურიკულუმის განვითარებასა და მხარდაჭერაზე. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში სკოლა აღნიშნავს „კათედრის დონეზე ხდება განხორციელებული კურიკულუმის ანალიზი, რის საფუძველზეც იგეგმება ახალი კურიკულუმი“. ახალი სასწავლო წლისთვის მიღებული გამოცდილების საფუძველზე , კურიკულუმებსა და სამოქმედო გეგმაში ასახავენ განვითარებისა და მხარდაჭერის რეკომენდაციებს.

ექსპერტთა ჯგუფმა, საბაზო საფეხურზე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

4. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში სკოლა აღნიშნავს, რომ კურიკულუმის შემუშავება განხორციელდა წინარე გამოცდილებით ასევე, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებებზე დაყრდნობით. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ 2023-2024 წლის საგნობრივი კურიკულუმები შედგენილია სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების შედეგად (მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტულ მაგალითებსა და ამ მაგალითების საფუძველზე განხორციელებულ ცვლილებებზე).

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საბაზო საფეხურზე ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

9. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
10. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
11. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
12. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, მოწოდებული დოკუმენტაცია და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგები იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში ურთიერთთანამშრომლობენ, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს, მსჯელობენ მათთვის საინტერესო საკითხებზე და მიდიან კონსესუსამდე. შეხვედრებზე მასწავლებლებს შორის მიმდინარეობს მსჯელობა კლასებისა და მოსწავლეთა სუსტ და ძლიერ მხარეებზე. შესაბამისად, კურიკუმების შედგენის დროს იგეგმება, მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, კომპლექსური დავალების აქტივობების დიფერენცირება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები. მშობლისა და მოსწავლის ინტერესები დადგენილ იქნა გამოკითხვის მეთოდით. მათი უკუკავშირების საფუძველზე დაიგეგმა რიგი აქტივობები. განხორციელდა კურიკულუმის მეთოდიკის შემუშავება. სამომავლოდ სკოლა გეგმავს შეიმუშაოს სასკოლო კურიკულუმების შევსების მეთოდოლოგია და დებულება.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

2. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები; კურიკულუმებში ასახულია სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები, რაც დადგინდა მათი გამოკითხვის საშუალებით. კერძოდ, დაიგეგმა ახალი სასწავლო წლიდან ყველა კლასში კომპლექსური დავალებების განხორციელება, რისთვისაც პედაგოგები მოიძიებენ და მოამზადებენ მოსწავლეებისთვის საინტერესო კონტექსტ-მაგალითებს. შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების მოთხოვნების შესაბამისად, საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია შესაბამისი საგნის ქოუჩებთან მასწავლებლების ურთიერთთანამშრომლობით. მასში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, საჭიროებები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. ასევე კათედრები მომავალ სასწავლო წელს გეგმავს სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან და მეტად აქტიურად ჩართვას კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში კათედრები გაეცნენ ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მოწოდებულ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ კურიკულუმის ჩარჩოებს. აღნიშნული კურიკულუმის ჩარჩოები განხილულ იქნა კათედრებზე, რომლის მიხედვითაც შემუშავდა საგნობრივი კურიკულუმები.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი
- კათედრის სხდომის ოქმები
- მშობელთა კრების ოქმები
- სასკოლო-სასწავლო მიზნები
- კურიკულუმი;
- მასწავლებელთან გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

11. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
12. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
13. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
14. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
15. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

7. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

საშუალო საფეხურზე კურიკულუმები ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის საშუალო საფეხურის ყველა კლასში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მეათე და მეთორმეთე კლასების (მეთერთმეტე კლასში ქართულ ენასა და ლიტერატურასა სასკოლო კურიკულუმი შემუშავდება გრიფირებული სახელმძღვანელოს შერჩევისთანავე) კურიკულუმში არსებული უმნიშვნელო ხარვეზები (თავდაპირველად მე-12 კლასისი სასკოლო კურიკულუმი არ იყო შემუშავებული, ხოლო მე-10 კლასის სასკოლო კურიკულუმში შეიმჩნეოდა კონტექსტმაგალითებისა და რესურსების სიმცირე) საკმაოდ მცირე დროში გამოასწორეს და წარმოადგინეს განახლებული ვერსიის სახით.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

8. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

საშუალო საფეხურის კურიკულუმის შესწავლისა და გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს, მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, თითოეული თემის ფარგლებში შემოთავაზებულია ორიგინალური დავალებები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს, გარდა ამისა, საშუალო საფეხურის კურიკულუმებში შემოთავაზებული კომპლექსური ბუნების დავალებების იდეების ნიმუშები, თემები ითვალისწინებს გლობალურ ფუნქციურ უნარებს, როგორებიცაა: შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა. ხორციელდება პროექტები, სხვადასხვა სახის ღონისძიება, რაც ხელს უწყობს კურიკულუმების შემუშავების პროცესს და გამოიყენება მომავალში მათ დასახვეწად. მაგალითად, მე-10 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, კერძოდ, ყველა თემის ფარგლებში 2-2 კომპლექსური დავალება, მათ შორის გამოიყოფა არგუმენტირებული ესე სათაურით: ,,უბრალო სისხლი თუ მართალი სამართალი'', საყრდენი ტექსტი შოთა რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსანი'', ასევე წარმოდგენილია მოსწავლეთა ნამუშევრები, რომლებიც შეფასებულია სოლო ტაქსონომიის დონეების მიხედვით, რაც ხელს უწყობს ამ გლობალური ფუნქციური უნარების, როგორც პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლების, განვითარებას. თვითშეფასების ფორმაში წერია: ,,საგნობრივი კურიკულუმების მთავარი ფოკუსი სამიზნე ცნებებია, სასწავლო პროცესში მუშაობა სწორედ მათ მიემართება და კურიკულუმშის მკაფიოდ იკვეთება ეს ორიენტირებულობა, სასწავლო მასალა, ფაქტობრივი ინფორმაცია და თემა განიხილება როგორც ის კონტექსტი, რომელიც ეხმარება მოსწავლეს სიღრმისეულად გაიაზროს იდეა, რომელსაც სასწავლო მასალა ატარებს. მიღწეული მიგნებების განზოგადებისათვის კი მნიშვნელოვანია კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად და მიზნობრივად იყენებს ახალ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს''. გარდა ამისა, საშუალო საფეხურზე ხორციელდება პროექტები, სხვადასხვა სახის ღონისძიება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. მაგალითად, მტკიცებულების სახით წარმოდგენილია, გრძელვადიანი სასკოლო პროექტიები, სათაურით: „ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში'', რომლის სამიზნე ჯგუფი იყო საბაზო და საშულო საფეხურის მოსწვლეები, განსაზღვრულია ქართულის კათედრის ფუნქციები და პროექტის ფარგლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი ინტერვენციები. ინტერვიუების დროსაც აღინიშნა, რომ მოსწავლეებში ემპათიის, მზრუნველობის, პასუხისმგებლობის გრძნობის გასაღვივებლად საბაზო საფეხურზე ხორციელდება სხვადასხვა პროექტი.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

9. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით სკოლა გეგმავს აქტივობებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას. სკოლას აქვს კარგი გამოცდილება უცხოენოვანი გარემოდან მოსული მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებისა და სასწავლო პროცესზე მათი მორგებისა, მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბავშვებთან დიფერენცირებული მიდგომის გამოცდილება და ა .შ. თუმცა აქვე აღნიშნავენ, რომ ამ მიმართულებით სკოლასა და პედაგოგებს მეტი მუშაობა მართებთ. გარდა ამისა, ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და მოსწავლის პირველადი მართვა, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

სკოლამ წარმოადგინა ქოუჩინგის ფარგლებში საშუალო საფეხურისათვის შექმნილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა,სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალის გაცნობისას იკვეთება, რომ კათედრები ძირითადად იყენებენ პედაგოგთა მიერ შექმნილ რუბრიკებს. შემუშავებულია სხვადასხვა აქტივობის (დისკუსიის, პრეზენტაციის, ინფორმაციის მოძიების , პროექტის, სხვადასხვა ესეს წერის და ა.შ.) ზოგადი შეფასების სქემები. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შექმნილია სტანდარტის შედეგების გათვალისწინებით და აფასებს ერთ თემას. იგეგმება საშუალო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი თემებისთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა, რომლებიც გრძელვადიან მიზნებზე იქნება ორიენტირებული, შუალედური მიზნების საშუალებით - ყოველივე ეს ნათლად გამოიკვეთა ინტერვიუს დროს, კომპლექსური დავალებების მიმდინარეობისას და დასკვნით ეტაპებზე მოსწავლის განმავითარებელი შეფასება მოხდება როგორც მასწავლებლის მხრიდან, ასევე მოსწავლეთა თვით და ურთიერთშეფასების გზით. სკოლაში საშუალო საფეხურზე დანერგილია და ხორციელდება მოსწავლეთა მიღწევების შეფასება სამ კომპონენტიანი სისტემა. შეფასებისთვის გამოიყენება გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკა - ანალიტიკური და ჰოლისტური. განმავითარებელი შეფასების გაცემისას მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლეს დაანახონ მისი განვითარების მიმართულება, ხელი შეუწყონ მოსწავლის მეტაგოგნიტური უნარების განვითარებას, გაიაზროს საკუთარი სწავლის პროცესი... შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს საშუალო საფეხურის სტანდარტის შედეგებიდან და აჩვენებს მოსწავლის მიღწევის დონეს.''

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ჩანს, რომ კათედრები საშუალო საფეხურზე ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. შესაბამისად, კათედრების სხდომებზე ხდება გამოვლენილი ხარვეზების ანალიზი, გადაჭრის გზების დასახვა, წარმატებული გამოცდილების გაზიარება და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადამუშავებული საგნობრივი კურიკულუმების შედგენა.
მასწავლებლებს აქვთ კურიკულუმის შექმნის გამოცდილება, წინა წლებში შექმნილმა სასწავლო გეგმებმა გაუადვილა მათ კურიკულუმის კომპონენტებში გარკვევა,თემატურ-სტრუქტურული ერთეულების გამოკვეთა. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები მოწმობს, რომ საშუალო საფეხურის კურიკულუმების შემუშავებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს. საგნობრივი კათედრების წევრები რეგულარულად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აკეთებენ რეფლექსიას, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს. მიღებული ინფორმაციისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება კურიკულუმის გადამუშავება, დახვეწა და განვითარება. წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე დასტურდება სტანდარტებთან შესაბამისობა.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სსიპ- ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის #6 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრების ანგარიშები;
- შეფასების რუბრიკები;
- მატრიცები;
- კომპლექსური ბუნების დავალებები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება
2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

11. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
12. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
13. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
14. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
15. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი საკითხების შესწავლის პროცესი უკავშირდება ფიქრის, ძიების, მსჯელობების, აღმოჩენების/ მიგნებებისა და შექმნის პროცესებს. დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. კომპლექსური დავალების იდეები ისეა ფორმულირებული, რომ სწავლის პროცესი მოიაზრებს მოსწავლეს,როგორც ცენტრალურ სუბიექტს, რომელიც ეცნობა ახალ

ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით. მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს გადმოსცეს იდეები სხვადასხვა გზით(მაგ. წერილობით,დისკუსიის სახით,ელექტრონულად).სკოლაში ასევე, ხორციელდება სასწავლო და კლასგარეშე პროექტები, გეგმავენ არაფორმალური განათლების ხელშეწყობის გაძლიერებას, პოზიტიური სასკოლო კლიმატის და მოსწავლის ინიციატივების წახალისებას.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

საშუალო საფეხურის კურიკულუმი აგებულია წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ მოსწავლეს აქვს წინარე ცოდნაზე ახალი ცოდნის დაშენების შესაძლებლობა. კურიკულუმში დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებები მოსწავლეს სთავაზობს ნაცნობ კონტექსტს, რომელიც დაეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირება, დამუშავებასა და გააზრებაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ ხორციელდება პროექტები არაფორმალური განათლების მიმართულებით, მაგ. „ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში“(საბაზო და საშუალო საფეხურზე), რაც ეხმარება სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებას მიუახლოვდეს.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სწავლის პროცესი ხელს უწყობს მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლის მართვის გაცნობიერებას (გონებრივი და ემოციური), ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობაში მოქცევას, საკუთარი სასწავლო საქმიანობის დაგეგმვას, ორგანიზებას, მონიტორინგს და რეფლექსიას. კურიკულუმით დაგეგმილი საკითხების შესწავლა , კომპლექსური დავალების იდეების განხორციელება მოიაზრებს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. ინტერვიუში აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას და წახალისებულია მოსწავლეთა მიერ საკუთარი სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირება იკვეთება საგნობრივ კურიკულუმებში, მოცემული კომპლექსური დავალების იდეები მოიაზრებს სასწავლო პროცესში როგორც პირობისეულ, ასევე დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე მუშაობასაც. დავალებები, მაგ. მე-10 კლასში მოცემული კომპლექსური დავალების იდეა (უცხოური ენა) გულისხმობს სტატიის შექმნას საკვები პროდუქტების დეფიციტის შესახებ. ამისათვის მოსწავლემ უნდა გაიაზროს, რა არის სტატია,მოიძიოს რესურსები, შეძლოს პრობლემის გამომწვევი

მიზეზების დამუშავება,ანალიზი და გამოსავლის მოძებნა. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა ჩანს მოსწავლეთა მიერ შესრულებულ კომპლექსურ დავალებებში და სასწავლო პროექტებში.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას უწყობს ხელს. შესასწავლი საკითხები /დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ მოსწავლეს უწევს გაიაზროს გამოცდილებასთან ახლოს მდგომი ნაცნობი პრობლემები, რომელთა მოგვარება მოითხოვს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთდაკავშირებას. ინტერვიუს დროს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ახდენენ საგანთა ინტეგრირებას სასწავლო პროცესში, რაც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას აძლევთ.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები
- მოსწავლის ნამუშევრები
- ინტერვიუ

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

13. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
14. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
15. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
16. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
17. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

18. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

10. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით

სკოლას წარმოდგენილი აქვს საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას შესასწავლ საკითხებზე დაყრდნობით. საგნობრივ კურიკულუმში სასწავლო პროცესი დიდწილად დაგეგმილია სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია ძირითადი სავალდებულო თემები, გამოკვეთილია ძირითადი შესასწავლი საკითხები და დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა კომპლექსური დავალებებით.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

11. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში თითოეული თემის ფარგლებში მოცემული ძირითადი შესასწავლი საკითხები, კომპლექსური დავალებები იძლევა საშუალებას ხელი შევუწყოთ მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეებს გამოკვეთონ ძლიერი და სუსტი მხარეები, გააცნობიერონ სხვების პოზიცია და გამოხატონ ემპათია (თანაგრძნობა) სხვების მიმართ; დაამყარონ პოზიტიური ურთიერთობები, შეძლონ გუნდური მუშაობა, გაუმკლავდნენ სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს; გააკეთონ ეთიკური, კონსტრუქციული არჩევანი და გაიაზრონ პასუხისმგებლობა მიღებულ გადაწყვეტილებებზე.
შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლაში იგეგმება შეფასების სისტემის ორიენტირება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები, რომელიც ეფუძნება კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებულ შეფასების კრიტერიუმებს და ფარავს სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს. შეფასების რუბრიკაში მიმართებით დონეზე ჩამოყალიბებულია მოლოდინები თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში.

სკოლა ასევე იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის დონეებს მოსწავლეთათვის განმავითარებელი უკუკავშირის მისაცემად.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშებიდან, რომლის გამოყენებასაც გეგმავს კათედრა 2023-2024 სასწავლო წელს, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ შეფასების სისტემა იქნება ვალიდური, გამჭვირვალე და ობიექტური, ვინაიდან, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ეყრდნობა სტანდარტში მოცემულ თითოეული თემის ფარგლებში განსაზღვრულ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებით, ხოლო განმავითარებელი შეფასება ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. მსგავსი ტიპის შეფასება რეალისტური საზომია, რაც პრაქტიკაში გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ვუზრუნველყოთ თანაბარი სამართლიანობა ყველა მოსწავლის მიმართ. მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო საზოგადოებას და პირველ რიგში მოსწავლეს ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება ნათლად მიემართება და მიზნობრივად აფასებს სწავლის შედეგებს. ასევე, მნიშვნელოვანია სწორად შერჩეული შეფასების კრიტერიუმები, რომ მოსწავლეს გააზრებული ჰქონდეს რა კრიტერიუმები დააკმაყოფილოს მისმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სასკოლო სასწავლო გეგმაში (2023-2024 სასწ წელი) ვკითხულობთ შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავების, შეფასების მიზნის განსაზღვრის, შეფასების კრიტერიუმების შემუშავების შესახებ. საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები განსაზღვრავს კათედრის ფუნქციებსა და კათედრის ეფექტურობას. აქვე მოცემულია კათედრის ხელმძღვანელისა და კათედრის მონიტორინგის ჩეკლისტი, ეს უკანასკნელი კი გამოიყენება როგორც გარე შეფასებისთვის, დირექციის მიერ, ისე შიდა შეფასებისათვის, კათედრის მიერ. ჩეკლისტი საშუალებას იძლევა სკოლამ გამოიყენოს როგორც საჭიროების დასადგენად, ისე მიმდინარე შეფასებისათვის. კათედრის შეხვედრების თემატიკა გათვალისწინებულია საგნობრივი კათედრების სამოქმედო გეგმებში. საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმებით დასტურდება, რომ სკოლაში შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია და ცნობილია საკოლო საზოგადოებისათვის. შეფასების სისტემის კომპონენტი ობიექტურობის დაცვაა, რაც ხაზგასმით ადასტურებს, რომ შეფასება არის სანდო და ვალიდური. შეფასების სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნები: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, სამართლიანობა და ობიექტურობა გაწერილის სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესში, კერძოდ, მუხლი 2 (მოთხოვნები შეფასების სისტემის მიმართ და სამიზნე პროცესები). ამავე დოკუმენტში (შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი) ასევე გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცედურა (მუხლი 3); შეფასების პროცესის ვერიფიკაცია (მუხლი 4); შეფასების ინსტრუმენტებისა და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია (მუხლი 5) და შეფასების სისტემის ვერიფიკაციისას გამოყენებული სამუშაო ფორმები (მუხლი 6). საგნობრივ ოქმებში საუბარია სკოლის დონეზე სადიაგნოსტიკო შეფასებაზე, რომ სამომავლოდ იგეგმება სადიაგნოსტიკო კვლევები; რომ დიაგნოსტირება ჩატარდება სასწავლო წლის ბოლოს, რაც

დასტურდება მასწავლებელთან ინტირვიუებითაც. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ მათ აქვთ მომავლის ხედვა, როგორ მოახდინონ დაგეგმილი აქტივობების/მიღწევების შედეგების ანალიზი. მასწავლებლები აქცენტს აკეთებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზზე, რაც დასტურდება მასწავლებლების პორტფოლიოთი (შემაჯამებელი დავალებების ანალიზი).

ექსპერტთა ჯგუფმა, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

12. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა არანაკლებ სამი წლის ვადით; კერძოდ, სასკოლო ჟურნალი, რომელიც წარმოადგენდა სკოლის ოფიციალურ დოკუმენტს (2021-2022 სასწ წლამდე), ინახება სკოლაში, მესამე პირთაგან დაცულ ადგილას 5 წლის განმავლობაში; მოსწავლეთა პირადი საქმეები, სკოლაში ინახება 75 წლის განმავლობაში; მასში შეტანილი წლიური შეფასებები, ცნობები, ექსტერნზე ინფორმაცია და ასე შემდეგ პირადი საქმის შენახვის ვადით ინახება. სკოლა უზრუნველყოფს ასევე ნიშნების წიგნის შენახვას. მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების, პროექტებისა და სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალების შენახა ხდება სკოლის არქივში (თვითშეფასება. გვ 56) სკოლა იყენებს შეფასების ელექტრონულ სისტემას (ელექტრონული ჟურნალი), რაც მონაცემების შენახვის საშუალებას იძლევა, გრძელვადიანი პერსპექტივით. რაც შეეხება შემაჯამებელ სამუშაოებს, შემაჯამებელი სამუშაოებს ანალიზის ფორმებს, დაკვირვების ფურცლებს, „ჩეკლისტებს“, მასწავლებლები/კათედრა ინახავენ სასწავლო წლის მანძილზე; თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შემაჯამებელი სამუშაოები და შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი, მათი ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ კათედრაზე ინახება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში, შემდეგ კი - სკოლის არქივში.

ექსპერტთა ჯგუფმა, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა (2022-2023);
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი (2023-2024);
- სკოლის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების ვერიფიკაციის წესი;
- საგნობრივი კათერდების სამოქმედო გეგმები;
- საგნობრივი კათერდების ოქმები;
- დანგანმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

თვითშფასების კითხვარსა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო. დირექტორი თავად არის მოდელი, მხარდამჭერი და პრობლემის მოგვარებაზე ურთიერთობის, ის ღიაა სასკოლო საზოგადოების ყველა ინიციატივის მიმართ. პედაგოგები მუშაობენ სხვადასხვა ეროვნების, რწმენის, ტრადიციების მოსწავლეებთან, ასევე სსსმ სტატუსის მქონე და მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელებთან და ამ მრავალფეროვნებას ისინი იყენებენ, როგორც რესურსს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისთვის.
საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემული კომპლექსური დავალების იდეები მაგ: კონფერენცია, ფესტივალი და აშ. აჩვენებს სასწავლო პროცესში მხარდამჭერი გარემოს არსებობაზე. მასწავლებლები სხვადასხვა საგანში იყენებენ დიფერენცირებული მიდგომებს, მრავალფეროვან სწავლების სტრატეგიებს, სასწავლო საშუალებებსა და რესურსებს, მათ შორის – ელექტრონულ რესურსებს.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

თვითშეფასების კითხვარსა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებულად. სსსმ მოსწავლეებისთვის შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. პედაგოგები სასწავლო პროცესში იყენებენ ეფექტურ სტრატეგიებს, რომლებიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს მაქსიმალურად წარმოაჩინონ მათი უნარები და შესაძლებლობები.წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები და შერჩეული კომპლექსური დავალებები აჩვენებს თითოეული

მოსწავლის შესაძლებლობაზე მორგებულ სასწავლო გარემოს არსებობას. როგორც ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, კურიკულუმების შექმნისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეების ინდივიდუალურ თავისებურებებს.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ხდება კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, სხვადასხვა საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობა და აქტიური კომუნიკაცია. სკოლის პრაქტიკაში დანერგილია ,,კრიტიკული მეგობარის" პრაქტიკა. ურთიერთდასწრებისას პედაგოგები ერთმანეთს თანამშრომლობაზე დაფუძნებით უზიარებენ გამოცდილებასა და რჩევებს. მასწავლებლები თანამშრომლობენ მოსწავლეებთან, სკოლის ადმინისტრაციასა და მშობლებთან მოსწავლეებისთვის საუკეთესო სასწავლო გარემოს შექმნისთვის.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, იკვეთება თანამშრომლობით კავშირები სასკოლო საზოგადოებას შორის. სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლეები, რომელთათვისაც იქმნება ინდივიდუალური გეგმები. მონაწილეობენ სხვადასხვა შეჯიბრებებებში. მოსწავლეებს, მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ ობიექტურ კრიტერიუმებს.
ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩო საგნების და კლასების მიხედვით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

7. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
8. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
9. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის მეთოდოლოგიის ჩარჩო/გეგმა, სადაც სკოლა აღნიშნავს, რომ კურიკულუმი შედგენილია სკოლის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ამავე დოკუმენტში განსაზღვრულია კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებაში ჩართული სასკოლო საზოგადოება (მასწავლებელი, საგნობრივი კათედრები, დირექცია). ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტში სკოლას აქვს წარმოდგენილი მკაფიო ხედვა, სადაც მონიტორინგს და შეფასებას განიხილავს სასწავლო პროცესის თანმდევ მექანიზმად. დეტალურად აქვს გაწერილი შიდა და გარე შეფასების ინსტრუმენტები, ხოლო მუხლი 4. -ში წარმოდგენილია სასწავლო პროცესის შეფასების ინდიკატორები და მონაცემების შეგროვების გზები.

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი საშუალო საფეხურზე შეაფასა შესაბამისად.

6. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლის მიერ წარმოდგენილო დოკუმენტაციაში (გაკვეთილზე დასწრების რეფლექსიები, საგნობრივი კათედრების ოქმები, დასწრების აღრიცხვის ჟურნალი, კლასის ხელმძღვანელის ანგარიში) ნათლად ჩანს, რომ სკოლაში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რომელიც ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და წახალისებაზე. აღნიშნულს ადასტურებს ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინიციატივების წახალისების მიზნით შექმნილი მექანიზმი-ბრძანება. 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია კათედრების სამოქმედო გეგმა, სადაც გამოკვეთილია მონიტორინგსა და შეფასებაზე ორიენტირებული აქტივობები. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში სკოლა აღნიშნავს, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მასწავლებელთა თვითრეფლექსიის შედეგები, მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირი.

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საშუალო საფეხურზე ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში სკოლას წარმოდგენილი აქვს გასავითარებელი მიმართულებები მაგ. დამრიგებლის ინსტიტუტის გაძლიერება, მასწავლებელთა პროფესიული შრომის კულტურა. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტში სკოლას აქვს მკაფიო ხედვა გამოკვეთილი პრობლემების შესაბამისად თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგას განვითარებისთვის, როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვის ისე მატერიალური რესურსების და ადამიანური რესურსების კუთხით. თვითშეფასების დოკუმენტში სკოლა აღნიშნავს, რომ მომავალი წლის სამოქმედო გეგმაში აისახება მონიტორინგის და შეფასების *ვალიდური* რუბრიკები შეფასების ინსტრუმენტებით.

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საშუალო საფეხურზე ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გაკვეთილზე დასწრების რეფლექსიები;
- კლასის ხელმძღვანელის ანგარიში;
- დასწრების აღრიცხვის ჟურნალი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

9. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
10. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
11. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
12. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

მასწავლებლებთან ინტერვიუმ და თვითშეფასების კითხვარმა აჩვენა, რომ სკოლაში მოსწავლის და პროცესის შეფასების სისტემა ჰოლისტური ხასიათისაა, ეყრდნობა მრავალფეროვან ინსტრუმენტებს: ჩართულია მშობელი, აქტუალურია მოსწავლეების ურთიერთშეფასება, რითიც იღრმავებენ ცოდნას და იძენენ გამოცდილებას. სკოლას აქვს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, კომპლექსურ დავალებებს კი აფასებენ სოლო ტაქსონომიით - ზეპირი უკუკავშირის ფორმით აძლევენ განმავითარებელ შეფასებებს. შეფასების სისტემაში იცავენ ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობის/სამართლიანობის პრინციპებს.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

თვითშეფასების კითხვარიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა ფიზიკური, კოგნიტური და ფსიქო-ემოციური განვითარების ხელშესაწყობად, მასწავლებლები ცდილობენ შეისწავლონ მოსწავლეები სხვადასხვა კონტექსტში: გაითვალისწინონ მოსწავლეთა სოციალურ - ემოციური ფონი, განსაზღვრონ მოსწავლეთა წინარე ცოდნა / გამოცდილება, ინტერესები, კოგნიტური / ფიზიკური უნარები და ამის შესაბამისად მოახდინონ მოსწავლეთა სწავლის პროცესის დაგეგმვა-შეფასება.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას იყენებენ მათ მიერ დაკვირვების შედეგად მიღებულ ინფორმაციას - საკლასო აქტიურობა, საშინაო დავალებები, შემაჯამებელი დავალებები, ასევე დამრიგებლისგანაც იღებენ ინფორმაციას - შესაძლოა მასწავლებლისთვის მკაფიო არ იყოს მოსწავლის არასაგაკვეთილო პერიოდის უნარ-ჩვევები, ამ ინფორმაციას კი მასწავლებელი იყენებენ სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვისას, მათ შორის კონტექსტ მაგალითების შეთავაზება, კომპლექსური დავალებების განხორციელება, პროექტების დაგეგმვა. შესაძლოა სხვა ინსტრუმენტების გამოყენებაც, რომლის შესახებაც მოიძიებენ ინფორმაციას.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის შეფასებისას ითვალისწინებენ ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა აკადემიური უნარები, აზროვნებისა და დასაბუთების უნარ-ჩვევები და კომუნიკაციის ზოგადი უნარ-ჩვევები. შეფასების ამ ფაქტორებს იყენებენ მოსწავლისათვის სასწავლო მასალისა და რესურსების ადაპტირებისას. მუშაობენ სპეციალური საჭიროებების მოსწავლეებთან, სადაც ყურადღება ექცევა მოსწავლის განვითარების დონეს, სპეციალურ საჭიროებებს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების რუბრიკები
- თვითშეფასება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

5. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
6. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

სასკოლო სასწავლო გეგმის ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტებში სკოლას მოცემული აქვს სასკოლო საზოგადოების კოორდინირებული მუშაობის ხედვა, სადაც ნათლადაა წარმოდგენილი სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასება ორიენტირებულია კურიკულუმის განვითარებასა და მხარდაჭერაზე. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში სკოლა აღნიშნავს „კათედრის დონეზე ხდება განხორციელებული კურიკულუმის ანალიზი, რის საფუძველზეც იგეგმება ახალი კურიკულუმი“. თვითშეფასების დოკუმენტში ჩანს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის მიღებული გამოცდილების საფუძველზე, კურიკულუმებსა და სამოქმედო გეგმაში ასახავენ განვითარებისა და მხარდაჭერის რეკომენდაციებს.

ექსპერტთა ჯგუფმა, საშუალო საფეხურზე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

6. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში სკოლა აღნიშნავს, რომ კურიკულუმის შემუშავება განხორციელდა წინარე გამოცდილებით ასევე, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებებზე დაყრდნობით. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ 2023-2024 წლის საგნობრივი კურიკულუმები შედგენილია სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების შედეგად (მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტულ მაგალითებსა და ამ მაგალითების საფუძველზე განხორციელებულ ცვლილებებზე).

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საშუალო საფეხურზე ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
- მასწავლებლებთან ინტერვიუ

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





10.09.2023 წ.
თარიღი